140
1978

ეროვნული ბიბლიოთეკა




# პიონერი

10
1978





ვ. ი. ლენინის გამოსვლა კომკავშირის III ყრილობაზე. ბ. იოგანსონი, დ. ტეგინი, ნ. ფაიდიშ-კრანდიევსკაია, ნ. ჩებაკოვი.

ტრეტიაკოვის სახელმწიფო გალერეა.

## ვ. ი. ლენინი

# ახალგაზრდობის კავშირთა ამოცანები

რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის სრულიად რუსეთის III ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვიდან.

1920 წ. 2 ოქტომბერი

...კომუნისტად ყოფნა ნიშნავს იმას, რომ რაზმავდე და აერთიანებდე მთელ მოზარდ თაობას, აღზრდისა და დისციპლინის მაგალითს აძლევდე ამ ბრძოლაში. მაშინ შეძლებთ თქვენ დაიწყოთ და ბოლომდე მიიყვანოთ კომუნისტური საზოგადოების შენობის აგება.

... თქვენ უნდა აღზარდოთ თქვენი თავი კომუნისტებად. ახალგაზრდობის კავშირის ამოცანაა, ისე მოაწყოს თავისი პრაქტიკული საქმიანობა, რომ ამ ახალგაზრდობამ ისწავლოს, დაირაზმოს, შეკავშირდეს, იბრძოლოს და ამ გზით აღზარდოს თავისი თავი და ყველა ის, ვინც მასში წინამძღოლს ხედავს, აღზარდოს კომუნისტები. საჭიროა რათა თანამედროვე ახალგაზრდობის აღზრდის, განათლებისა და სწავლების მთელი საქმე წარმოადგენდეს მასში კომუნისტური მორალის აღზრდას.



საქართველოს ალკკ ც.კ.-ის და
ვ. ი. ლენინის სახელობის
პიონერთა ორგანიზაციის
რესპუბლიკური საბჭოს
ორგანო
საბავშვო ჟურნალი

გამოდის 1926 წლიდან

პიონერი

10 ოქტომბერი 1978

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მთავარი მოწოდება

იოსებ ორჯონიკიძე
საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი

ლენინური კომკავშირის მიერ განვლილი სახელოვანი გზა ჩვენი დიადი სამშობლოს ისტორიის თვალსაჩინო ნაწილია. კომკავშირი თაობათა ცოცხალი ბიოგრაფიაა, მათი ბრძოლისა და შრომის, შემართებისა და შთაგონების უშრეტი წყაროა, ახალგაზრდობის ცხოვრებისეული გამოცდის ფართო ასპარეზია, სიჭაბუკის ღირსების ნათელი სვეტია, რომელშიც ყოველთვის იბადება საბჭოთა ქვეყნის მომავალი გამარჯვებებისათვის ბრძოლის მოწოდება.

მიმდინარე წლის 29 ოქტომბერს ლენინური კომკავშირი თავისი არსებობის ექვსი ათეული წლის მიჯნას გადააბიჯებს და კვლავაც მხნედ და ამაყად გაუყვება არნახული ძვრებით აღსავსე ცხოვრების გზას.

ლენინური კომკავშირის იუბილე ღირსსახსოვარი მოვლენა იქნება ყველა იმ ადამიანისათვის, ვინც კომკავშირში გაატარა თავისი ცხოვრების საუკეთესო წლები და ერთგულად ემსახურა სამშობლოს ძლიერებისა და აყვავების კეთილშობილურ საქმეს, ვინც დღეს თავისი სწავლით, შრომითა და საზოგადოებრივი საქმიანობით ჭედავს მომავალ გამარჯვებებს, და იმათთვისაც, ვისაც მომავალში მოუწევს ატაროს ლენინური კომკავშირის წევრის საპატიო სახელი.

დიახ, სწორედ თქვენ, ჩვენო ძვირფასო უმცროსო მეგობრებო, მოგიწევთ შეავსოთ ლენინური კომკავშირის რიგები, ღირსეულად გააგრძელოთ კომკავშირულ თაობათა სასახელო ესტაფეტა. ამ საპატიო ამოცანის შესრულება კი დიდ პასუხისმგებლობას გაკისრებთ. ამრავლო ტრადიციები, ახალი, უფრო თვალსაჩინო წარმატებებით შეავსო და გაამდიდრო ლენინური კომკავშირის მატიანე — ეს ქვეყნისა და ხალხის წინაშე საპატიო ვალის ღირსეულად მოხდას ნიშნავს და ამიტომ დღეს ეს ამოცანა თითოეული პიონერის განსაკუთრებულ მობილიზებულობასა და აქტიურობას მოითხოვს.

ნორჩ ლენინელთა სისხლსავსე ცხოვრებისა და ლენინური კომკავშირის მაგალითისამებრ მომავალი გამარჯვებებისათვის საბრძოლველად მზადყოფნის ნიშნად ჟღერს საკავშირო პიონერული მარშის ახალი დევიზი ,,ჩვენ შენი საიმედო ცვლა ვართ, კომკავშირო!“ პიონერული მარშის მარშრუტები ის მძლავრი არტერიებია, საიდანაც ენერგიას იღებს თქვენი წარმატებები სწავლის, შრომისა და ცხოვრების ყველა უბანზე.

მარშის დევიზი მხოლოდ მოწოდება როდია. იგი ახალ გამარჯვებათა რეალური სახეა, თქვენი სწრაფვისა და მონდომების ნათელი გამოხატულებაა. იყო კომკავშირის ღირსეული ცვლა, ნიშნავს აქტიურად ედგე მას მხარში დასახული ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლაში, საქმით ამტკიცებდე მომავალი კომკავშირელის ღირსებას.

რესპუბლიკის პიონერია თავისი ყოველდღიური საქმიანობით ამტკიცებს, რომ იგი ღირსეულად ასრულებს კომკავშირის მოთხოვნას, პრაქტიკულად ემზადება გახდეს მისი წევრი. დღეს 220 პიონერული რაზმეული და 1150 რაზმი ატარებს მარჯვენა ფლანგელის საპატიო სახელს. ყოველწლიურად პიონერთა ძალებით შეგროვილი 25 ათასი ტონა ლითონის ჯართი ემატება ჩვენი ქვეყნის მძიმე ინდუსტრიის ნედლეულის მარაგს. ტრადიციული პიონერული ნადნობი, რომელიც მიმდინარე წელს საკავშირო ალკკ XVIII ყრილობის გახსნას მიეძღვნა, ნათელი სიმბოლოა იმისა, თუ როგორ იქცევა თქვენს მიერ შეგროვილი ლითონის ჯართი ჩვენი სამშობლოს ძლიერების წყაროდ.

რესპუბლიკაში მეცხოველეობის განვითარების საქმეში თქვენი საპატიო წვლილის შეტანის კონკრეტული მაგალითია ოპერაცია ,,ხობათი წიქარასათვის“, რომლის მეშვეობით ყოველწლიურად მეცხოველეობის საკვებ ბაზას ემატება 40 ათას ტონამდე უხეში და წვნიანი საკვები. დიდი და საპატიო წვლილი შეაქვთ რესპუბლიკის პიონერებს რესპუბლიკის სოფლის მშრომელთა წარმატებებში. ამას მოწმობს მათი ძალებით ყოველწლიურად მოკრეფილი 15 ათას ტონამდე ჩაის მწვანე ფოთოლი და ათას ტონაზე მეტი ყურძენი, ამას მოწმობს პიონერთა შრომითი შემართების სხვა მრავალი მაგალითი.

მრავალფეროვანია რესპუბლიკის პიონერული ორგანიზაციების საქმიანობის შინაარსი. ბეჯით სწავლას, სასარგებლო შრომით საქმიანობას, საინტერესო პიონერულ ცხოვრებას ალამაზებს და ელფერს მატებს თქვენს მიერ მოპოვებული თვალსაჩინო წარმატებები მეცნიერებათა საფუძვლების ღრმად შესწავლაში, ლიტერატურისა და ხელოვნების სხვადასხვა სფეროში, სპორტში.

მრავალი თქვენგანი აქტიურად მონაწილეობს სამხედრო-სპორტულ თამაშში ,,ცისკარი“, რომელიც საშუალებას გაძლევთ შეითვისოთ სამხედრო ტექნიკური მომზადების აქტიური ჩვევები, გამოიწრთოთ ფიზიკურად, მოემზადოთ საბჭოთა არმიის რიგებში სამსახურის პატრიოტული ვალის მოსახდელად.

მოსაწონია თემურელთა საქმიანობა, რომლებიც მზრუნველობას არ აკლებენ დიდ სამამულო ომში დაღუპულთა ოჯახებს, ეხმარებიან მათ საოჯახო საქმეებში, უქარვებენ იმ მძიმე ტკივილებს, რაც მათ ომის საშინელებამ მოუტანა. თემურელთა დევიზი ,,აჩუქე ადამიანებს სიხარული“ მთელი სისრულით გამოხატავს მათს კეთილშობილურ მიზანს, ხოლო შინმოუსვლელთა ოჯახების მადლობა უდიდესი ჯილდოა ყველასათვის, ვისაც მშვიდობისა და მომავალი ბედნიერებისათვის ბრძოლა უპირველეს მოვალეობად მიაჩნია.

ჩვენ ყოველთვის დიდი სიხარულით აღვიქვამთ თქვენს მიერ მოპოვებულ წარმატებებს საკავშირო და რესპუბლიკურ პიონერულ აქციებში, სადაც ნათლად ვლინდება რესპუბლიკის პიონერთა მისწრაფება—აქტიური წვლილი შეიტანონ X ხუთწლედის ამოცანათა წარმატებით შესრულებაში.

ლენინური კომკავშირი ყოველთვის იყო პიონერული ორგანიზაციების საქმიანობის წარმმართველი, მისი კეთილი მეგობარი და დამრიგებელი. დღესაც კომკავშირი დიდ ყურადღებას უთმობს პიონერული ორგანიზაციების საქმიანობის გაუმჯობესებას, მისი საიმედო ცვლის პრაქტიკულად მომზადებას.

საკავშირო მოძრაობა — „საზოგადოებრიობის ლაშქრობა სკოლაში“ — გახდა პიონერულ ორგანიზაციებზე ახალგაზრდული საწარმოო კოლექტივების, წარმოების მოწინავეთა, სამეცნიერო და ტექნიკური ინტელიგენციის, სტუდენტი ახალგაზრდობის, სპორტსმენთა საუკეთესო წარმომადგენლების შეფობის გაუმჯობესების შესანიშნავი საშუალება. დღეს რესპუბლიკის 19 ათასამდე პიონერულ რაზმში საზოგადოებრივ საწყისებზე რაზმის ხელმძღვანელად მუშაობს 14 ათასი ახალგაზრდა მუშა და კოლმეურნე, 2500 სპეციალისტი, 1200 შემოქმედებითი და ტექნიკური ინტელიგენციის წარმომადგენელი, 4500 სტუდენტი, 640 სპროსტმენი, მრავალი საბჭოთა არმიის მეომარი. ეს თქვენი უფროსი მეგობრებისა და დამრიგებლების მთელი არმიაა, რომელიც მოწოდებულია აქტიურად დაეხმაროს პიონერებს მუშაობის საინტერესოდ და შინაარსიანად წარმართვაში.

სამ წელზე მეტი ხნის მეგობრობა აკავშირებს ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ახალგაზრდა რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა ბრიგადას 32-ე სკოლის პიონერებთან. ბრიგადის ხელმძღვანელი, საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი შუქრი გიგინეიშვილი საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობს პიონერული რაზმის ხელმძღვანელად და თავის გამოცდილებას უზიარებს პიონერებს, ეხმარება მათ მომავალი პროფესიების სწორად შერჩევაში. მასთან ერთად ბრიგადის წევრები შეფობას უწევენ სკოლის პიონერულ ორგანიზაციას, ხშირად ესაუბრებიან მოსწავლეებს თავიანთი შრომითი საქმიანობის შესახებ, ეხმარებიან კაბინეტ-ლაბორატორიების მოწყობაში, აცნობენ საწარმოში დანერგილ ტექნიკურ სიახლეებს თავის მხრივ პიონერები ავტოქარხნის ხშირი სტუმრები არიან, ეცნობიან მათი უფროსი მეგობრების შრომით საქმიანობას, უპატაკებენ სწავლასა და პიონერულ მუშაობაში მოპოვებული წარმატებების შესახებ. ასეთი საქმიანი ურთიერთობა დიდად ეხმარება პიონერებს, უფრო სრულად შეიცნონ შრომის გამაკეთილშობილებელი ძალა, შეიძინონ მომავალი დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის აუცილებელი პრაქტიკული ჩვევები. პიონერებთან საშეფო მუშაობის მრავალი საინტერესო მაგალითის მოტანა შეიძლება ზესტაფონის რაიონის კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობიდან, სადაც საზოგადოებრივ საწყისებზე პიონერული რაზმის ხელმძღვანელად მუშაობა მიჩნეულია თითოეული ახალგაზრდა მუშისა და კოლმეურნის, ახალგაზრდა სპეციალისტების, ინტელიგენციის წარმომადგენელთა ღირსების საქმედ, უდიდეს ნდობად და პატრიოტულ მოვალეობად. პიონერთა უფროსი მეგობრების მრავალრიცხოვანი არმიის რიგებშია ლენინური კომკავშირის მრავალი სახელოვანი წარმომადგენელი, მათ შორის თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის მუშა, საკავშირო ალკკ XVIII ყრილობის დელეგატი დემურ მაზმიშვილი, ჩვენი სახელოვანი სპორტსმენი, ორგზის ოლიმპიური და მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ლევან თედიაშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XI მსოფლიო ფესტივალის მონაწილე მარინა ლომიძე და მრავალი სხვა, რომელთა სახელებით სამართლიანად ამაყობს საქართველოს კომკავშირი.

რესპუბლიკის პიონერები ნათლად გრძნობენ ჩვენი პარტიისა და ხალხის შეუნელებელ ზრუნვას. ზაფხულის არდადეგების პერიოდში რესპუბლიკის პიონერულ ბანაკებსა და ბავშვთა დასვენების სხვა კერებში 150 ათასზე მეტმა პიონერმა და მოსწავლემ დაისვენა. პიონერული ზაფხული ნორჩ ლენინელთა სისხლსავსე ცხოვრებისა და საქმიანობის საინტერესო პერიოდად იქცა. ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XI მსოფლიო ფესტივალის დღეებში პიონერები ცხოვრობდნენ დევიზით: „ფესტივალი ჰავანაში, ფესტივალი ყველგან“. მრავალი საინტერესო ღონისძიება მიეძღვნა ამ უდიდესი მნიშვნელობის მოვლენას. რესპუბლიკის პიონერებმა კიდევ ერთხელ გამოხატეს თავიანთი აქტიური მხარდაჭერა და სოლიდარობა მშვიდობისა და პროგრესისათვის მებრძოლი მსოფლიო ახალგაზრდობისადმი.

პიონერული ზაფხულის საინტერესოდ წარმართვის საქმეში დიდი როლი შეასრულეს რესპუბლიკის სტუდენტი ახალგაზრდობის წარმომადგენლებმა. ქალაქ თბილისის უმაღლესი სასწავლებლების 450-ზე მეტი სტუდენტი მუშაობდა პიონერთა ბანაკებში პიონერული რაზმების, საგნობრივი წრეების, სპორტული სექციების, სადისკუსიო კლუბების ხელმძღვანელებად.

სტუდენტებსა და პიონერებს შორის დაწყებული მეგობრობა ახალი სასწავლო წლიდან კიდევ უფრო საინტერესო შინაარსს შეიძენს და დიდ როლს შეასრულებს საშუალო სკოლებზე სტუდენტი ახალგაზრდობის საშეფო მუშაობის გაუმჯობესების საქმეში.

რესპუბლიკის პიონერები აქტიურად მონაწილეობენ საბჭოთა საქართველოს ახალგაზრდა თაობის გადაძახილში „სწორება კომუნისტებზე“, რომლის მე-4 ეტაპი ლენინური კომკავშირის სახელოვან იუბილეს ეძღვნება. აღნიშნულ ღონისძიებაში ჩაბმული რესპუბლიკის 400 ათასზე მეტი პიონერი სწავლით, შრომითა და საქმიანობით ამტკიცებს ლენინის დიადი საქმის ერთგულებას, საბჭოთა სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულს, კომუნისტური პარტიის საქმისათვის საბრძოლველად მზადყოფნას.

მხარში ედგე ლენინურ კომკავშირს დასახული ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლაში, ემზადებოდე მის რიგებში შესასვლელად და ყოველდღიურ ცხოვრებაში მაგალითს იღებდე კომუნისტებისაგან — ეს დღეს ყოველი პიონერის მთავარი მოწოდებაა, და მისი წარმატებით შესრულება ნიშნავს, რომ ნორჩ ლენინელთა სახით იზრდება ლენინური კომკავშირის ღირსეული და საიმედო ცვლა.




სამოქალაქო ომის წლებში, ჯერ აღმოსავლეთის ფრონტზე 1919 წელს კოლჩაკის არმიის განადგურებაში აქტიური მონაწილეობისათვის, შემდეგ სამხრეთის ფრონტზე, უკრაინაში პეტლიუროველების, მახნოს ბანდების, დენიკინელების აღკვეთისათვის და, ბოლოს, კომუნისტების მხარდამხარ პერეკოპის შტურმით აღებისათვის, „შავი ბარონის“ ვრანგელის განადგურებისათვის და საბჭოთა მიწა-წყლის პოლონელი ინტერვენტებისაგან განთავისუფლებისათვის. 1928 წლის თებერვალს საბჭოთა მთავრობამ ლენინური კომკავშირი წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნაზი კილასონია

# ამხანაგო კომკავშირო

პირველი სიტყვა და
დროშები გაშლილი...
ო, როგორ მიყვარდა,
ო, როგორ მიყვარდა,
ო, როგორ მიყვარდა
ჩემი კომკავშირი!..
მრწამსი: სიჭაბუკე
არასდროს შეცდება,
პირველი ბუკები,
პირველი წესდება!...
მე მერქვა რეზერვი,
მე მერქვა არმია.
ამბობდნენ: შესძელი,
იგრგვინე არია!
ამბობდნენ: პატაკი
შრომის წინ!
ბრძოლის წინ!
შენშია სპარტაკი!
შენშია ბორისი!
პირველი სიტყვა და
წიგნები გაშლილი,
მიყვარდა, მიყვარდა
ჩემი კომკავშირი!..
რადგან მოჟაისკის
განიერ შოსეზე
ზოიას მაისი
ავმართეთ დროშებზე.
და მაქვს სხვა ქანდაკიც —
ზოია რუხაძე,
ვით ყლორტი მხარდამხარ
მშობლიურ მუხაზე —
მე ვნახე... წვიმაში...
სოფელი ჯვარიდან

დიდების წინაშე
კვარცხლბეკზე ავიდა!
...მგონი არ ვამეტებ:
რამდენი წლისა ხარ?
ჩვიდმეტის?
თვრამეტის?
ხომ ისევ მზისა ხარ.
ხომ გავხარ კორჩაგინს?
ქარიშხლით შობილებს?
ხომ აზრით მოსავდი
მაგ ჯიუტ პროფილებს?
თითქმის ბავშვობიდან,
ო, თითქმის ბავშვიდან
ამხანაგო
კომკავშირო,
მოდიხარ მარშითა!

ამხანაგო კომკავშირო,
შენ გქვია გულწრფელი.
ამხანაგო უშიშარო,
შენ სწორ გზას უცქერი!
ამხანაგო კომკავშირო,
შენ განდობ შენებას.
მეგობარო, მოკავშირევ,
სიამაყევ,
მშვენებავ!

ამხანაგო ფრთაგაშლილო,
სიჭაბუკის სიტყვა ხარ!
ამხანაგო კომკავშირო,
მიყვარხარ,
მიყვარხარ!

კაშხალიდან,
ჰესებიდან,
შენი დიდი ლექსებითა,
მიყვარხარ!
ხნულებიდან,
მწყემსებიდან,
შენი წრფელი ლექსებითა,
მიყვარხარ!..
ამხანაგო სიჭაბუკევ,
ელავს შენი ფერდობი,
მშვიდობის მზე ნუ ჩაუქრეს,
შენში რასაც ვენდობით!
მეგობარო, ფრთაგაშლილო,
სიჭაბუკის სიტყვა ხარ!
ამხანაგო კომკავშირო,
მიყვარხარ!..
მიყვარხარ!..

## 1931




სამოქალაქო ომის შემდეგ დადგა კოლექტივიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის პერიოდი. დაიწყო ჩვენი ქვეყნის პირველი ხუთწლედები. და კომკავშირი კვლავ მხარში უდგას პარტიას სოციალიზმისათვის ბრძოლის დიდ საქმეში.

დნეპრჰესი, მაგნიტკა, კუზნეცკმშენი. ამურის კომსომოლსკი დამკვრელ-კომკავშირელთა გმირული შრომა, პირველი ხუთწლიანი გეგმის ვადაზე ადრე შესრულება და... კომკავშირის ალამზე შრომის წითელი დროშის ორდენი აკიაფდა!

**ლ. ი. ბრეჟნევი**

საკ. ალკკ XVIII ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვიდან

საერთოდ უფროსი თაობის კომუნისტებს, ჩემი აზრით, შეუძლიათ კმაყოფილი იყვნენ ჩვენი დროის საბჭოთა ახალგაზრდობით. იგი იზრდება კომუნისტურად მტკიცე და პარტიის საქმის, დიდი ლენინის საქმის უაღრესად ერთგულია. მილიონობით ქალიშვილი და ჭაბუკი ვაჟკაცობის, სიმტკიცის, ოქტომბრის იდეალების ერთგულების ნიმუშებს გვიჩვენებს. დიდი ენთუზიაზმით მუშაობენ ისინი ყველგან, სადაც კომუნისტური მშენებლობის ფრონტი გადის, აქტიურად იბრძვიან ქვეყნის განვითარების დაძაბული გეგმების შესრულებისათვის, ყოველგვარ საქმეში მათ თავისებური რომანტიკული მგზნებარება, მე ვიტყოდი, ახალგაზრდული აღმაფრენა შეაქვთ, ყოველივე ამისათვის მადლობა კომკავშირს, მადლობა საბჭოეთის ყველა ახალგაზრდას.

დაე კვლავაც გიზგიზებდეს თქვენს გულში პატრიოტიზმის წმინდა ცეცხლი, ცოცხლობდეს მინდობილი საქმისათვის, ყოველივე იმისათვის პირადი პასუხისმგებლობის კეთილშობილური გრძნობა, რაც ჩვენს ქვეყანაში ხდება.

გვესაუბრებიან კომკავშირის XVIII ყრილობის დელეგატები

# მთელი ძალით კომკავშირი

**ნარგიზა მგელაძე**

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ზემომოყვანილ სიტყვებს საკავშირო კომკავშირის XVIII ყრილობაზე დელეგატები მხურვალე ოვაციით შეხვდნენ.

ამხანაგ ბრეჟნევის ამ სიტყვებში ჩაქსოვილია კომკავშირელთა მრავალათასიანი არმიის საქვეყნო საქმეთა შეფასებაც და მოქმედებისაკენ, სერიოზულ საქმეთა გულმხურვალედ კეთებისაკენ მოწოდებაც.

„პასუხისმგებლობის კეთილშობილური გრძნობა" — ეს აზრი წითელი ზოლივით გასდევს საკავშირო კომკავშირის XVIII ყრილობის იმ დელეგატთა საუბარს, რომლებსაც ჩვენ შევხვდით.

აი, რა თქვეს მათ:

ნუგზარ ვაჭარაძე, „თბილგვირაბმშენის" კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელი:

როცა მოსკოვში, ყრილობაზე ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სიტყვებს ვუსმენდი, ძალზე გამახარა წინადადებამ პასუხისმგებლობის შესახებ, რადგან ეს ძალიან ბევრის შემცველი, ტევადი სიტყვაა. საქართველოს კომკავშირის XXXI ყრილობაზე გამოკვეთილად ითქვა: „პოლიტიკური პასუხისმგებლობა", პასუხისმგებლობა ყველაფრისათვის, რაც ჩვენს ირგვლივ და არა მარტო ჩვენი უშუალო მონაწილეობით ხდება.



ნუგზარ ვაჭარაძისათვის ყოველი დღე დამკვრელურია.

მე ასე მესმის:

პასუხისმგებლობა საკუთარი საქმისათვის (იქნება ეს სწავლა თუ შრომა);

პასუხისმგებლობა საკუთარი საქციელისათვის (კოლექტივში, საზოგადოებაში, ოჯახში).

პასუხისმგებლობა იმათი საქციელისათვის, ვისთანაც სწავლა და შრომა გიწევს.

და, უბრალოდ: ადამიანური პასუხისმგებლობა, რაც, ერთი შეხედვით, „სხვის" საქმეში ჩარევის მორალურ აუცილებლობას გულისხმობს.

აი, მაგალითად, 26-ე პროფტექნიკურ სასწავლებლიდან 1974 წელს 40-დან 15-ღა შევრჩით გვირაბს. ზოგმა პასუხისმგებლობა თავიდან აიცილა: „რაღა მე გავიჭირვო, სხვამ აშენოს, უჩემოდ ქვეყანა არ დაიქცევაო". ისინი კი, ვისაც პასუხისმგებლობის გრძნობა და საქმის ერთგულება ჰქონდა, დღესაც გვირაბში არიან, მიუხედავად იმისა, რომ ინსტიტუტებშიც განაგრძობენ სწავლას. ესენი 70-იანი წლების კომკავშირელთა, კორჩაგინელთა ტი-



**ყველა ქაღალდის მიღმა ცოცხალი ადამიანია, ადამიანს კი მაქსიმალური ყურადღება სჭირდება, — ასე ფიქრობს ირინე თევდორაძე.**

პიური წარმომადგენლები არიან, რომლებიც შორიდან მჭვრეტელის დიაღაც სათაკილო როლს სამართლიანად თაკილობენ და საკუთარი ხელით უნდათ მომავალი აშენონ: ბადრი კიკნაძე, ამირან გაჩეჩილაძე, მირიან ნინიკაშვილი, ომარ კიკნაძე... რომელი ერთი დავასახელო, საბედნიეროდ, ისინი ბევრნი არიან.

პასუხისმგებლობის გრძნობის აღზრდა, ჩემი ღრმა რწმენით, სკოლის მერხიდან უნდა დაიწყოს:

პასუხისმგებლობა სწავლის ხარისხისათვის,

ამხანაგების საქციელისათვის,

პიონერული მუშაობისათვის,

დისციპლინისათვის,

თვითგანვითარებისათვის,

უმცროსი და-ძმებისათვის.

სწორად თქვა ფრანგმა მწერალმა ანტუან დე სენტ-ეგზიუპერიმ: იყო ადამიანი — ნიშნავს გრძნობდე პასუხისმგებლობას.

## ირინე თევდორაძე, საქართველოს კომკავშირის თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონული კომიტეტის მეორე მდივანი:

რომ დამჭირდეს მოკლედ ვუპასუხო შეკითხვას, თუ რას წარმოადგენს ჩემთვის კომკავშირი, ალბათ ძალიან გამიჭირდება, რადგან მასთან დაკავშირებულია ბევრი რამ. ესაა ჩემთვის მოქალაქეობის სკოლა, საზოგადოებრივი საქმიანობის ასპარეზი, სხვათათვის პასუხისმგებლობის მძაფრი განცდა.

მერვე კლასიდან მოყოლებული სკოლის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ვიყავი, ხოლო შემდეგ, როცა უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე განვაგრძე სწავლა, კომკავშირის კომიტეტის წევრი და შემდგომ კომიტეტის მდივნის მოადგილე გახლდით. მაშინ ჩვენი სტუდენტური პრობლემები გვქონდა და თავისებურად ვჭრიდით მათ. ვიბრძოდით მაღალი აკადემიური მოსწრებისათვის, საქართველოს მთიან რაიონებში საშეფო მუშაობას ვეწეოდით, ორგანიზაციას ვუკეთებდით საზოგადოებრივ პრაქტიკას და სხვ.

ალბათ ამ საზოგადოებრივი საქმიანობის შეფასებაც იყო ის ფაქტი, რომ საქალაქო საბჭოს დეპუტატად ვიყავი არჩეული.

შემდგომ, როცა პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტს ჩავუდექი სათავეში, განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდით შეფობას სოფლის სკოლებისადმი, რადგან ფაქტიურად ამ სკოლებიდან ველოდით ჩვენს შევსებას.

პედაგოგი პასუხისმგებელია თავისი მოსწავლის ზნეობისათვის, ყოველთვის თანაზიარია მისი წარმატებისა თუ მარცხისა.

ჩვენ ასე ვთვლიდით: კარგი მოსწავლე — შემდეგში კი კარგი მოქალაქე და სპეციალისტი — ჩვენი „ხარისხის ნიშანი", ცუდი მოსწავლე და ცუდი სპეციალისტი კი მუშაობის წუნი იყო.

„წუნისმკეთებლობა" კი განსაკუთრებით დაუშვებლად მიგვაჩნდა იმ უბანზე, სადაც ადამიანის აღზრდა ხდება.

დღეს კი თბილისის ერთ-ერთი ყველაზე ინტერნაციონალური რაიონის კომკავშირულ ორგანიზაციაში მიხდება მუშაობა და ჩვენი რაიონული კომიტეტიც განსაკუთრებულ ყურადღებას ინტერნაციონალურ აღზრდას უთმობს.

ასევე ყურადღებას არ ვაკლებთ არასრულწლოვანებთან მუშაობას. ამ ზაფხულს ჩვენი რაიონის უფროსკლასელმა მოსწავლეებმა ძალზე იყოჩაღეს სასწავლო კომბინატის მშენებლობაზე, კომბინატი მალე ჩადგება მწყობრში და მოსწავლეთა შრომითი წრთობის კერად იქცევა. სწორედ ამ საქმეში იგრძნეს მოსწავლეებმა პასუხისმგებლობა საზოგადო, საქვეყნო საქმისადმი, სწორედ ის პასუხისმგებლობა, რაზეც ლაპარაკი იყო ყრილობაზე. ის კი, რაც ყრილობაზე ითქვა, სამუშაო დევიზად უნდა ვაქციოთ.

## მზია გალეგაშვილი, დუშეთის რაიონის ბაზალეთის კოლმეურნეობის მეცხოველე:

ადამიანის დახასიათებაში დღეს ახალი სიტყვა გაჩნდა: პასუხისმგებლობა. არა მგონია, უპასუხისმგებლო კაცმა რაიმე სერიოზულ საქმეში ივარგოს. ჩემი თანატოლებისათვის დამახასიათებელი გახდა მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობის გრძნობის გაზრდა საზოგადოებისა და ქვეყნის წინაშე. ეს ყველგან იგრძნობა. ჩვენს რაიონში არ არის დარგი, რომლის მიღწევებში ახალგაზრდას დიდი წვლილი არ ჰქონდეს. თავად განსაჯეთ: ხუთწლედის ვადამდე შესრულებისთვის ბრძოლაში ჩაბმულია 22 კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა.

კოლმეურნეობებში 1500 ახალგაზრდის თავდადებულმა შრომამ კარგი შედეგი გამოიღო. ჩაბარებულია 1000 ტონა ხორცი, 12 300 ცენტნერი რძე და 2 ათასი ცენტნერი მატყლი. ცხვარი და ძროხა მთიელი კაცის სიმდიდრეა, მწყემსობა კი სახელისა და დიდების საქმეა. ამ ბოლო წლებში კომკავშირელებმა შეცვალეს ცხვარში გაჭაღარავებული მწყემსები — მამები, პაპები, ისინივე გამოვიდნენ ინიციატივით — „საზოგადოებრივ მეცხვარეობას კომკავშირული ზრუნვა!“ — რომლის პასუხად ასმა ჭაბუკმა მიაშურა ცხვარს.



სხვებისთვის იდილიაა, მზია გალეგაშვილისათვის კი — ჩვეულებრივი სამუშაო დღე.

როგორ გგონიათ, დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა რომ არა, უფრო იოლ სამუშაოს ვერ მოძებნიდნენ?

თუნდაც ჩემი მაგალითი ავიღოთ: ექვსი წლის წინ დავამთავრე სკოლა და ბაზალეთის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმაში მივედი. რომ გითხრათ, სიხარულით მივფრინავდი-მეთქი, მართალი არ ვიქნები. ვყოყმანობდი, ვეჭვობდი: შევძლებდი თუ არა ამ საკმაოდ რთული სამუშაოსთვის თავი გამერთმია, თავი არ შემერცხვინა. გულით მინდოდა წარმატებისათვის მიმეღწია. სინამდვილე სიძნელეებითა და დაბრკოლებებით სავსე აღმოჩნდა: ფერმას აკლდა მუშახელი, განსაკუთრებით ახალგაზრდობა. შრომის პირობები სულაც არ შეესაბამებოდა დღევანდელობის მოთხოვნათა დონეს, არასრულყოფილი მექანიზაცია დაბლა სწევდა შრომის ნაყოფიერებას. საბედნიეროდ, ჩემი მუშაობის დაწყებას დაემთხვა საზოგადოებრივი კლიმატის გაჯანსაღებისათვის ბრძოლის დასაწყისი.

ფერმაშიც მუშაობა მეტად სახალისო გახდა. ვირწმუნეთ, რომ მშრომელ კაცს არავინ დაამადლიდა სახელს, ვირწმუნეთ, რომ ჩვენზე ზრუნავდნენ, რომ ჩვენ პასუხისმგებელნი ვიყავით ყველაფერზე, რაც ჩვენს ირგვლივ ხდებოდა.

ამ რწმენამ კი კონკრეტული წარმატებები მოგვიტანა. მე პირადად 35 ხბოს ვუვლი და საკვებმომპოვებელთა კომკავშირულ-ახალგაზრდულ ბრიგადასაც ვხელმძღვანელობ. ნამუსიანად, კომკავშირულად გავისარჯეთ და... ამ შრომას ვუმადლი, რომ წილად მხვდა ბედნიერება, ვყოფილიყავი კომკავშირის საკავშირო ყრილობის დელეგატი, მომესმინა ამხანაგ ბრეჟნევის ბრძნული, მამაშვილური დარიგება, გულთბილი, ჩვენდამი — ახალგაზრდობისადმი სიყვარულით გამთბარი სიტყვები და ჩემს გულში დამედო პირობა: ვიქნები ღირსი ამ დიდი პატივისა, ჩემი შრომით შევიტან წვლილს ჩემი სამშობლოს ძლიერებაში.

●

ჩვენ მხოლოდ სამ დელეგატს ვესაუბრეთ 101-დან. ძალზე მოხდენილად თქვა ირინე თევდორაძემ: ის, რაც ყრილობაზე ითქვა, სამუშაო დევიზად უნდა ვაქციოთ. ასეცაა.

ყრილობის დადგენილება ცოცხლობს, მოქმედებს და იმარჯვებს.



# ახალგაზრდა გვარდია



ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ფადეევი

ნაწყვეტი

მხატვარი დ. ზარაფიშვილი

ოქტომბრის დღესასწაულის წინა დღეს — ექვს ნოემბერს, დღისით კოშევოების ბინაში, მეკავშირეების — ვალია ბორცის, ნინა და ოლია ივანცოვების მონაწილეობით „ახალგაზრდა გვარდიის" შტაბი სრული შემადგენლობით შეიკრიბა. ოლეგმა გადაწყვიტა, ეს დღე რადიკ იურკინის კომკავშირში საზეიმო მიღებით აღენიშნა.

რადიკ იურკინი ახლა უკვე აღარ იყო ის მშვიდი, თვინიერთვალებიანი ყმაწვილი, რომელმაც ჟორა არუთინიანცს უთხრა: „მე ხომ ადრე დაწოლას ვარ დაჩვეულიო". ფომინის დასჯაში მონაწილეობის მიღების შემდეგ რადიკ იურკინი ტიულენინის ჯგუფში ჩაერიცხა და მონაწილეობას იღებდა ღამით გერმანელების სატვირთო მანქანებზე თავდასხმაში. ახლა იგი საკმაოდ გულდაჯერებული იჯდა კართან დადგმულ სკამზე და პირდაპირ, თვალის დაუხამხამებლად ფანჯარაში გასცქეროდა მოპირდაპირე მხარეს, ვიდრე ოლეგი შესავალ სიტყვას ამბობდა; მერე კი ტიულენინმა დაახასიათა რადიკი. ზოგჯერ იურკინს ცნობისმოყვარეობა აღეძრებოდა ხოლმე: ვინ არიან ეს ადამიანები, რომლებიც ჩემს ბედს სწყვეტენო! და იგი გრძელ ქერაწამწამებიან თვალს მიაპყრობდა ხოლმე შტაბის წევრებს, რომლებიც ახლა თითქოს სანადიმოდ გაშლილი დიდი სასადილო მაგიდის გარშემო ისხდნენ, მაგრამ ქალიშვილები. — ერთი ქერა, მეორე შავგვრემანი, იმწამსვე ისე ალერსიანად გაუღიმებდნენ და, ორივენი ისეთი კარგები იყვნენ, რომ რადიკი უცნაურად იბნეოდა და თვალს არიდებდა მათ.

— შე-კითხვები ხომ არა გაქვთ ამხანაგ რადიკ იურკინისადმი? — იკითხა ოლეგმა.

ყველანი სდუმდნენ.

— თავისი ბიოგრაფია გვიამბოს! — თქვა ტურკენიჩმა.

— გვიამბე-ბიოგრაფია...

რადიკ იურკინი წამოდგა, ფანჯარაში გაიხედა და ისეთი მკვირცხლი ხმით დაიწყო, როგორც სკოლაში გაკვეთილს უპასუხებდა ხოლმე:

— დავიბადე ათას ცხრაას ოცდარვა წელს, ქალაქ კრასნოდონში, ვსწავლობდი გორკის სახელობის სკოლაში... — ამით დასრულდა რადიკ იურკინის ბიოგრაფია, მაგრამ თვითონაც გრძნობდა, რომ ეს ძალიან ცოტა იყო, ამიტომ ნაკლები დაჯერებით დასძინა: — რაც გერმანელები შემოვიდნენ, არა ვსწავლობ...

ისევ სდუმდნენ ყველანი.

— საზოგადოებრივ დავალებას თუ ასრულებდი? — შეეკითხა ვანია ზემნუხოვი.

— არ ვასრულებდი, — ბავშვური ღრმა ამოხვნეშით მიუგო რადიკ იურკინმა.

— კომკავშირის ამოცანები თუ იცი? — ისევ შეეკითხა ვანია, რომელიც რქის სათვალიდან პირდაპირ მაგიდას დასჩერებოდა.

— კომკავშირის ამოცანაა ჟლიტოს გერმანელი ფაშისტი დამპყრობლები, ვიდრე თუნდაც ერთი მათგანი დარჩება ცოცხალი! — მტკიცედ წარმოთქვა რადიკ იურკინმა.

— რა გვეთქმის, ჩემი აზრით, ყმაწვილი პოლიტიკურად სავსებით მომზადებულია, — თქვა ტურკენიჩმა.

— რა თქმა უნდა, მივიღოთ! — დაუდასტურა ლუბკამ, რომელიც სულითა და გულით მოწადინებული იყო, რომ რადიკ იურკინს ყველაფერი კარგად გამოსვლოდა.

— მივიღოთ, მივიღოთ! — წამოიძახეს შტაბის სხვა წევრებმაც.

— ვინ არის მომხრე, რომ ამხანაგი რადიკ იურკინი მივიღოთ კომკავშირში? — ღიმილით იკითხა ოლეგმა და ასწია ხელი.

ყველამ ხელი ასწია.

— ეე-რთხმად! — განაცხადა ოლეგმა და ადგა. — აქ მოდი...

რადიკი ოდნავ გაფითრდა, ტურკენიჩმა და ულია გრომოვამ აქეთ-იქით მიიწ-მოიწიეს, რომ ადგილი დაეთმოთ იურკინისათვის. მერე დინჯად მიაჩერდნენ. ყმაწვილი მაგიდიდან წამოდგა.

— რადიკ! — საზეიმო ხმით უთხრა ოლეგმა, — შტაბის დავალებით გაბარებ კომკავშირის დროებით ბილეთს, ღირსეულად ატარე იგი. საწევრო გადასახადს შენს ხუთეულში გადაიხდი, ხოლო, როცა წითელი არმია დაბრუნდება, კომკავშირის რაიკომი ამის ნაცვლად მუდმივ ბილეთს მოგცემს...

რადიკმა მზემოკიდებული პატარა ხელი გაუწოდა და ბილეთი გამოართვა. ეს ნამდვილი მანდატის ზომის ორად გაკეცილი ბილეთი გაკეთებული იყო იმ სქელი ქაღალდისაგან, რომელზედაც გეგმებსა და რუკებს ხაზავდნენ ხოლმე. პირველ გვერდზე, ზემოთ, ოკრობოკრო ბეჭდური ასოებით ეწერა: „სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს!" ცოტა ქვემოთ: „საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირი", უფრო ქვემოთ, მსხვილად: „დროებითი კომკავშირული ბილეთი". მეორე გვერდზე, მარჯვენით ეწერა რადიკის გვარი, სახელი და მამის სახელი, დაბადების წელი; ქვემოთ — კომკავშირში შესვლის დრო: „1942 წლის 6 ნოემბერი"; უფრო ქვემოთ — „გაცემულია „ახალგაზრდა გვარდიის" კომკავშირის ორგანიზაციის მიერ ქ. კრასნოდონში. მდივანი: „კაშუკი". ბილეთის მარჯვენა მხარეზე დახაზული იყო სვეტები საწევრო გადასახადის აღსანიშნავად.

— ჯუბაში ჩავაკერებ და ყოველთვის თან ვატარებ , — ოდნავ გასაგონად უთხრა რადიკ იურკინმა და ბილეთი ჯუბის შიდა ჯიბეში ჩაიდო.

ყველამ მიულოცა რადიკ იურკინს და ხელი მაგრად ჩამოართვეს.

რადიკი სადოვაიას ქუჩაზე გამოვიდა. არ წვიმდა, მაგრამ ძლიერი ქარი ქროდა და ძალიან ციოდა. ბინდი ახლოვდე-

ბოდა. იმ ღამეს რადიკის მეთაურობით სამი ყმაწვილისაგან შემდგარი ჯგუფი დიდი სადღესასწაულო დავალების შესასრულებლად უნდა წასულიყო. გრძნობდა რა უბეში ჩადებულ ბილეთს, რადიკი მკაცრი და ბედნიერი გამომეტყველებით წავიდა შინ. რკინიგზის მეორე გადასასვლელზე, რაიონული აღმასკომის შენობასთან, სადაც ამჟამად მოთავსებული იყო სასოფლო-სამეურნეო კომენდატურა, რადიკმა ქვედა ყბა ოდნავ გამოსწია, ტუჩები მოკუმა და გამგმირავად დაუსტვინა, — ისე, უბრალოდ, მხოლოდ იმისათვის, რომ გერმანელებს სცოდნოდათ, რადიკიც ცოცხლობს ქვეყანაზეო.

იმ ღამეს არა მარტო რადიკი, არამედ მთელი ორგანიზაცია მონაწილეობდა დიდი სადღესასწაულო დავალების შესრულებაში.

— გახსოვდეთ: ვინც გათავისუფლდება, გარდა პერვომაისკელებისა, პირდაპირ ჩემთან მოვიდეს, — თქვა ოლეგმა.

დები ივანიხინების ბინაზე პერვომაისკელები ოქტომბრის სადღესასწაულო საღამოს აწყობდნენ.

ოლეგი, ტურკენიჩი, ვანია ზემნუხოვი და მეკავშირეები ნინა და ოლია ოთახში დარჩნენ. ანაზდად ოლეგს მღელვარება დაეტყო სახეზე.

— ქაა-ლიშვილებო, ჩემო კა-არგებო, უკვე დრ-ოა! — ენის ძალზე ბორძიკით თქვა ოლეგმა. იგი მივიდა ნიკოლაი ნიკოლაევიჩის ოთახის კართან და დააკაკუნა, — ძა-ალუა მარინა, დრ-როა!

მარინას პალტო ეცვა, გზადაგზა თავსაფარს იკრავდა და ოთახიდან გამოვიდა; მას გამოჰყვა ძია კოლია. ბებია ვერა და ელენე ნიკოლაევნაც გამოვიდნენ თავიანთი ოთახიდან.

მარინა, ოლია და ნინა ჩაცმულნი გამოვიდნენ, მათ დავალებული ჰქონდათ მახლობელი ქუჩების დაცვის უზრუნველყოფა.

ეს სახიფათო გამბედაობა იყო, ამის გაკეთება ისეთ დროს, როცა სახლებში ჯერ კიდევ არ ეძინათ და ხალხი ჯერ კიდევ ქუჩაში მიდი-მოდიოდა, მაგრამ განა შეიძლებოდა ამ შემთხვევის ხელიდან გაშვება!

ბინდი ჩამუქდა, ბებია ვერამ შუქმფარი ჩამოუშვა და ჭრაქი აანთო. ოლეგი მარინასთან გავიდა ეზოში, მარინა სახლის კედელს მოშორდა.

— არავინ არ არის!

ძია კოლიამ სარკმელში თავი გაჰყო, მიიხედ-მოიხედა და მავთულის ბოლო ოლეგს გაუწოდა. ოლეგმა ის გრძელი ჯოხის წვერს მიამაგრა და ჯოხი ზედ ბოძთან, მავთულზე ჩამოჰკიდა ისე, რომ ჯოხიცა და ბოძიც სიბნელეში შეერთდნენ.

ოლეგი, ტურკენიჩი და ვანია ზემნუხოვი ძია კოლიას ოთახში საწერ მაგიდასთან ისხდნენ და ხელში ფანქრები ჰქონდათ მომარჯვებული. ბებია ვერა მკაცრად, დაძაბულად გამოიყურებოდა, ელენე ნიკოლაევნა კი ოდნავ წინ გადახრილი, გულუბრყვილო და რამდენადმე შემკრთალი გამომეტყველებით. ესენი ორივე მოშორებით საწოლზე ისხდნენ და აპარატს მისჩერებოდნენ.

მხოლოდ ძია კოლიას მშვიდსა და ზუსტად მოქმედ ხელებს შეეძლო ასე უცებ, უხმაუროდ ჩაერთო სწორედ საჭირო ტალღა. ისინი პირდაპირ ოვაციას შეუერთდნენ, ჰაერის განმუხტვა არ იძლეოდა მოლაპარაკე ადამიანის ხმის მოსმენის საშუალებას.

— ამხანაგებო! დღეს ჩვენ ვზეიმობთ ჩვენს ქვეყანაში ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების ოცდახუთი წლისთავს. ოცდახუთი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენში საბჭოთა წყობილება დამყარდა. ჩვენ ვდგავართ საბჭოთა წყობილების არსებობის მომდევნო, ოცდამეექვსე წლის მიჯნასთან...

ტურკენიჩი მშვიდი და დინჯი გამომეტყველებით იჯდა, ხოლო ვანია სათვალით რვეულს დაშტერებოდა. ორთავენი სწრაფად იწერდნენ. ჩაწერა ძნელი საქმე არ იყო: სტალინი ლაპარაკობდა აუჩქარებლად, მხოლოდ ზოგჯერ მცირე ხნით გაჩუმდებოდა ხოლმე. მაშინ მოისმოდა, როგორ ასხამდა ჭიქაში წყალს და როგორ დგამდა ისევ თავის ადგილას. მაინც, პირველ ხანებში, მათი სულიერი ძალა იქით იყო მიმართული, რომ არაფერი გამოჰპარვოდათ. მერე შეეგუენ სიტყვის რიტმს, თითოეულ მათგანს დაეუფლა შეგრძნობა უჩვეულობისა, თითქმის იმის შეუძლებლობისა, რაშიც ახლა უკვე თვითონვე მონაწილეობდნენ.

ის, ვინც ჭრაქის შუქზე, ცივ ოთახში, ან ბლინდაჟში არ მჯდარა, როცა გარეთ არა მარტო შემოდგომის სუსხი მძვინვარებს, არამედ, როცა ადამიანი დამცირებულია, ფეხქვეშ გათელილი და გამათხოვრებული, ვისაც რადიოაპარატთან გაყინული ხელებით არ დაუჭერია თავისი სამშობლოს თავისუფალი რადიოტალღა, იგი ვერასოდეს ვერ მიხვდება, თუ რა გრძნობით ისმენდნენ ამ მოხსენებას მოსკოვიდან.

— ... კაციჭამია ჰიტლერი ამბობს: „ჩვენ მოვსპობთ რუსეთს, რომ მან ვერასოდეს ვერ შესძლოს ფეხზე წამოდგომა“.

მგონი გასაგებია, თუმცა სისულელეა.

დიდ დარბაზში ამტყდარმა სიცილმა, რომელმაც აქამდე მოაღწია, ღიმილი მოჰგვარა ყველას, ბებია ვერამ ხელიც კი მიიფარა ტუჩებზე.

— ჩვენს მიზანს არ შეადგენს გერმანიის მოსპობა, ვინაიდან გერმანიის მოსპობა ისევე არ შეიძლება, როგორც არ შეიძლება რუსეთის მოსპობა, მაგრამ ჰიტლერული სახელმწიფოს განადგურება — შეიძლება და საჭიროც არის... ჩვენი პირველი ამოცანა მდგომარეობს სწორედ იმაში, რომ მოვსპოთ ჰიტლერული სახელმწიფო და მისი სულის ჩამდგმელები...

აპლოდისმენტების ქარიშხალი მათშიც იწვევდა სურვილს ძლიერი მოძრაობით გამოხმაურებოდნენ, მაგრამ ამის

1945



1941 წელი. დიდი სამამულო ომი. კომკავშირი კვლავ ავანგარდშია. კომკავშირელი — მეომრის. კომკავშირელი—პარტიზანის. კომკავშირელი — იატაკქვეშელის, კრასნოდონის ახალგაზრდა გვარდიის, ზოია კოსმოდემიანსკაიას, ალექსანდრე მატროსოვის და მრავალი სხვა პატრიოტის ჯერ არნახული საგმირო საქმეები! დიდ სამამულო ომში გმირობისა და მამაცობისათვის. 1945 წლის 14 ივნისს, ჩვენი სახელოვანი კომკავშირი ლენინის ორდენის კავალერი გახდა.



1948

დიდი სამამულო ომის შემდგომი პირველი ხუთწლედის პერიოდში ჩვენმა სამშობლომ ზეიმით აღნიშნა კომკავშირის სახელოვანი 30-ე წლისთავი. ამ დღეს კომკავშირის დროშაზე რიგით მეორე ლენინის ორდენი აკიაფდა.

„სამშობლოს წინაშე თვალსაჩინო დამსახურებისათვის, საბჭოთა ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდისათვის და სოციალისტურ მშენებლობაში აქტიური მონაწილეობისათვის“ — ასე იუწყებოდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება კომკავშირის მეორე ლენინის ორდენით დაჯილდოებას.

გაკეთება არ შეეძლოთ, ამიტომ მხოლოდ უსიტყვოდ გადახედავდნენ ხოლმე ერთმანეთს.

ყოველივე ის, რაც თექვსმეტი წლის ჭაბუკიდან დაწყებული და მოხუცი ქალით გათავებული, ამ ადამიანთა პატრიოტულ გრძნობაში შეუცნობლად ცოცხლობდა, ახლა უბრუნდებოდა მათ — ფაქტებისა და ციფრების უბრალო, პირდაპირი სიმართლით, რომელიც არწივისებური გამჭრიახი თვალებით გასცქეროდა მომავლისაკენ.

ესენი იყვნენ ის უბრალო ადამიანები, რომელთაც წილად ხვდათ ასეთი წარმოუდგენელი ტანჯვა-წამების გადატანა, რომელნიც ახლა ეუბნებოდნენ მთელ მსოფლიოს:

— ჰიტლერელი არამზადები... ჰკლავენ და აუპატიურებენ ჩვენი ქვეყნის ოკუპირებული ტერიტორიების სამოქალაქო მოსახლეობას: მამაკაცებსა და ქალებს, ბავშვებსა და მოხუცებს, ჩვენს დედებსა და ძმებს... მხოლოდ სულმდაბალ ადამიანებს, რომლებიც მოკლებულნი არიან ღირსებას და პირუტყვის მდგომარეობამდე დასულან, შეუძლიათ ნება მისცენ თავიანთ თავს ჩაიდინონ ასეთი უმსგავსოებანი უდანაშაულო, უიარაღო ადამიანების მიმართ... ჩვენ ვიცნობთ ამ უმსგავსობათა ჩამდენ დამნაშავეებს, „ევროპაში ახალი წესრიგის“ მშენებელთ, ყველა ამ ახალგამომცხვარ გენერალ-გუბერნატორებსა და უბრალო გუბერნატორებს, კომენდანტებსა და ქვეკომენდანტებს. მათ სახელს იცნობენ ათობით ათასი განაწამები ადამიანები. დაე იცოდნენ ამ ჯალათებმა, რომ ისინი ვერ გაექცევიან პასუხისმგებლობას თავიანთი დანაშაულებისათვის და თავს ვერ დააღწევენ განაწამებ ხალხთა ხელებს...

ამას ამბობდა მათი იმედი და შურისძიება...

სუნთქვა უზარმაზარი მსოფლიოსა, რომელიც გარს ერტყა მტრის ჯარისკაცთა ჩექმებით ტალახში გათელილს მათ პატარა ქალაქს, მშობლიური მიწა-წყლის მძლავრი რყევა, ღამეული მოსკოვის მაჯისცემა შემოიჭრა ოთახში და მათი გული აავსო იმ ბედნიერი შეგრძნებით, რომ ისინი ამ ქვეყანას ეკუთვნიან...

— ჩვენს პარტიზანებსა და პარტიზან ქალებს — დიდება!

— გაიგონეთ?!. — წამოიძახა ოლეგმა და გაბრწყინებული თვალებით ყველას ერთბაშად გადახედა.

ძია კოლიამ რადიო გამორთო და უცებ საშინელი სიჩუმე ჩამოვარდა. წეღან ყოველივე ეს იყო, და აი, ახლა უკვე არაფერი არ არის... სარკმელი ჭრიალებს, გარეთ შემოდგომის ქარი ზუზუნებს. ისინი მარტონი სხედან ნახევრად ბნელ პატარა ოთახში და ასობით კილომეტრზე გადაჭიმული ტანჯვა-ვაება აშორებს მათ იმ სამყაროს, რომელიც ესესაა ხმაურობდა.

...ისეთი ბნელი ღამე იყო, რომ თვალში თითს ვერ მიიტანდით, ქუჩებში ცივი და ნესტიანი ქარი ქროდა, მოსახვევებში კორიანტელს აყენებდა, სახურავებს აჭრიალებდა, მილებში კვნესოდა, მავთულებში უსტვენდა და ბოძებზე ზუზუნებდა. საჭირო იყო ქალაქის მათსავით კარგად ცოდნა, რომ ამ გაუვალ ტალახსა და სიბნელეში ზუსტად გამოსულიყავით შახტის შესასვლელთან.

ჩვეულებრივად გზის ამ მონაკვეთზე — ვოროშილოვგრადის გზატკეცილიდან გორკის სახელობის კლუბამდე, ღამით მორიგე „პოლიცაი“ დადიოდა, მაგრამ ეტყობოდა, ტალახსა და სუსხს იგი სადღაც ჭერქვეშ შეელალა.

ჯიხური ქვითკირისა იყო, — ის იყო არა ჯიხური, არამედ ციხე-კოშკივით ქონგურებიანი — ზემო ნაწილში; ქვემოთ კი მოეთავსებინათ პატარა კანტორა და შახტის ტერიტორიაზე შესასვლელი. კოშკის მარჯვნით და მარცხნით ქვის მაღალი კედელი ამართულიყო.



ისინი — მხარბეჭიანი სერგეი ლევაშოვი და ღონიერფეხებიანი, ცეცხლივით მსუბუქი ლუბკა, თითქოს იმისათვის იყვნენ გაჩენილნი, რომ ორივეს ერთად გაეკეთებინათ ეს. სერგეიმ მუხლი გამოსწია და ლუბკას ხელები გაუწოდა. ლუბკამ ვერც კი შეამჩნია ეს ხელები, ისე ერთბაშად მოემწყვდა თავისი პატარა მკლავებით მათში და წყნარად გაიცინა. მერე ბოტებიანი ფეხი მუხლზე დაადგა, უმალვე მხრებზე შეასკუპდა და ხელებით ქვის გალავანს დაეყრდნო. ვაჟმა ხელები მაგრად ჩასჭიდა ფეხსაცმლის ზემოთ — წვივებში, რომ ძირს არ ჩამოვარდნილიყო. ლუბკას კაბა სერგეის თავზე ალამივით ფრიალებდა. ლუბკა მუცლით გალავანს დაეყრდნო, ხელებით კედლის მეორე მხარეს ჩაეჭიდა: მას არც ისე ღონიერი ხელები ჰქონდა, რომ თან ვაჟიც აეთრია, მაგრამ ამ მდგომარეობაში თავი მაინც შეიმაგრა, როცა სერგეი მაგრად ჩაეჭიდა მას წელში, ფეხები ქვის კედელს მიაბჯინა, თვითონ ხელებზე წამოიწია და სწრაფი, ღონიერი მოძრაობით ჯერ ცალი, მერე კი მეორე ხელი მოავლო კედელს. ახლა ლუბკას ისღა დარჩენოდა, რომ სერგეისთვის ადგილი გაეთავისუფლებინა, — სერგეიც უკვე მის გვერდით გაჩნდა.



სქელი კედლის ზედა ნაწილი დაქანებული და სველი იყო, იქიდან დაცურება ადვილად შეიძლებოდა, მაგრამ სერგეის მაგრად ეჭირა თავი, ხელებგაშლილი კოშკის კედელს შუბლით მიბჯენოდა. ახლა თვითონ ლუბკა ზურგიდან მხრებზე შეაცოცდა. სერგეი ძალიან ღონიერი იყო. კოშკის ქონგურები ლუბკას მკერდის დონეზე აღმოჩნდა და ადვილად ახოხდა მასზე. ქარი ისე ეძალებოდა მის კაბასა და ჟაკეტს, ეგონა საცაა გადამაგდებსო, მაგრამ ყველაზე ძნელი საქმე უკვე გააკეთეს.

ლუბკამ უბიდან პატარა გრაგნილი ამოიღო, ვიწრო ქობაში გაჩრილ კანაფს ხელი მოავლო, ისე მიამაგრა დროშის ტარზე, რომ ქარს არ გააშლევინა. ის იყო, ხელი გაუშვა და ქარმა ისე ძლიერ აიტაცა ქსოვილი, რომ ლუბკას გული მღელვარებით აუძგერდა. მან ახლა მეორე, უფრო პატარა გრაგნილი ამოიღო და ზედ დროშის ტარის ძირში მიაკრა, ეს უკვე ქონგურების შიგნით. სერგეი კედლის თავზე ასევე ზურგით დაეშვა, მაგრამ ტალახში გადახტომა მაინც ვერ გაბედა. ჩამოჯდა და ფეხები გადმოაწყო. სერგეი გადმოხტა და ქვემოდან წყნარად შესძახა, თან ხელები შეუშვირა. ლუბკა ვერ ხედავდა, მხოლოდ ხმის მიხედვით გრძნობდა სერგეის. უცებ გული აუძგერდა, ხელები წინ გაიშვირა, თვალები მოხუჭა და გადახტა. იგი პირდაპირ ხელებში ჩაუვარდა და კისერ ჩე მოეხვია. სერგეიმ ერთხანს ჰაერშივე შეაკავა, მაგრამ ლუბკამ თავი გაითავისუფლა, ძირს გადმოხტა და აღგზნებით წაიჩურჩულა:

— სერიოჟკა! გიტარაც წავიღოთ, რას იტყვი, ჰა?

— კარგი, ტანსაცმელსაც გამოვიცვლი, სულ გამთხუპნე შენი ბოტებით! — უთხრა ბედნიერმა სერგეიმ.

— არა, არა, ასეც მიგვიღებენ, როგორცა ვართ! — ლუბკამ მხიარულად გაიცინა.

ვალიასა და სერიოჟკა ტიულენინს ქალაქის ცენტრი შეხვდათ. ეს იყო ყველაზე უფრო სახიფათო რაიონი. გერმანელი გუშაგები იდგნენ რაიალმასკომისა და ბირჟის შენობასთან, დირექციონთან პოლიციელი მორიგეობდა, ჟანდარმერია გორაკის ძირში იყო, მაგრამ ყმაწვილებს ხელს უწყობდა სიბნელე და ქარი. სერიოჟკამ მიზანში ამოიღო ,,ცოფიანი ბატონის‘‘ დაცარიელებული სახლი და, ვიდრე ვალია რაიაღმასკომისაკენ პირმიქცეული სახლის იმ მხარეზე მორიგეობდა, სერიოჟკა სხვენზე ავიდა დამპალი მისადგმელი კიბით, რომელიც ალბათ ,,ცოფიანი ბატონის‘‘ დროიდან იყო მიყუდებული; მან ყველაფერი თხუთმეტიოდე წუთში მოათავა.

ვალიას ძალიან სციოდა და მოხარული იყო, რომ ყველაფერი ასე დასრულდა, მაგრამ სერიოჟკა მისკენ დაიხარა და სიცილით ჩუმად უთხრა:

— მე კიდევ ერთი დამრჩა მარაგად! მოდი, დირექციონზეც გავაკრათ.

— მერე პოლიცია?

— სახანძრო კიბით ავიდეთ!

მართლაცდა, სახანძრო კიბე მთავარი შესასვლელის მოპირდაპირე მხარეზე იყო მიყუდებული.

— წავიდეთ! — უთხრა მან.

უკუნ სიბნელეში, რკინიგზის ხაზზე დაეშვნენ და დიდხანს მიდიოდნენ შპალებზე. ვალიას მოეჩვენა, ვერხნედუვანაიასაკენ მივდივართო, მაგრამ ასე როდი იყო: სერიოჟკა სიბნელეში კატასავით იყურებოდა.

— აი, აქ არის! — თქვა მან, — ოღონდ მე მომყევი, თორემ მხარმარცხნით ფერდობია და პირდაპირ პოლიცაების სკოლასთან ამოვყოფთ თავს...

პარკის ხეებში ქარი ზუზუნებდა, ერთმანეთს აჯახებდა

1956



1954 წლის მარტში, ლენინური პარტიის მოწოდებით, [illegible] წების ასათვისებლად, კომკავშირული საგზურებით პირველ[illegible] მევი გაემგზავრა. სულ მალე მათმა რიცხვმა 350 ათასზე მეტს მიაღწია.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დიდად დააფასეს კომკავშირელთა გმირული შრომა ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების საქმეში. და აი, 1957 წლის 1 მარტს, კრემლის დიდი სასახლის დარბაზში, ლენინურ კომკავშირს გადაეცა საბჭოთა კავშირის უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი.

შიშველ ტოტებს და ვალიას და სერიოჟკას ზედ ეცემოდნენ ტოტებიდან ჩამოვარდნილი ცივი წვეთები. სერიოჟკას თამამად და სწრაფად მიჰყავდა იგი ხეივნიდან ხეივანში. ვალია მიხვდა, რომ უკვე სკოლას მიუახლოვდნენ, ისე ძლიერ შხაპუნობდა წვიმა შენობის სახურავზე.

აი, უკვე აღარ ირყევა რკინის კიბე, რომლითაც სერიოჟკა მაღლა ავიდა. იგი არსად ჩანდა, იგვიანებდა... ვალია მარტო იდგა სიბნელეში, კიბის ძირში. რა უჟმური და საშინელი იყო ღამე ამ შიშველი ტოტების ერთმანეთზე შეხლისაგან გამოწვეული ხმაურით! და რა სუსტნი, უმწეონი იყვნენ დედამისი, თვით ვალია და პატარა ლუსია, ამ ბნელსა და საშინელ სამყაროში... მამა კი, სადაა მამა? რა მოუვა მას! თუ დაეხეტება ახლა სადმე, უთავშესაფროდ, ნახევრად ბრმა?.. ვალიამ ნათლად წარმოიდგინა დონეცკის ტრამალების უზარმაზარი სივრცე, აფეთქებული შახტები, ნესტიანი პატარა ქალაქები და დაბები — უშუქოდ, ამ ჟანდარმების ხელში... უცებ მოეჩვენა: სერიოჟკა არასოდეს აღარ ჩამოვა ამ წვიმით ახმაურებულ სახურავიდანო, და გამბედაობამ უმტყუნა... მაგრამ სწორედ ამ წუთს შემოესმა რკინის კიბის რყევის ხმაური და მისმა სახემ რაღაც დამოუკიდებელი ცივი გამომეტყველება მიიღო...

— აქა ხარ?.. — სერიოჟკა სიბნელეში იღიმებოდა.

ვალიამ იგრძნო, ხელი გამომიწოდაო და თვითონაც მისკენ გაიშვირა ხელები. სერიოჟკას ყინულივით ცივი ხელები ჰქონდა. რამდენ რამეს იტანდა ეს გამხდარი ყმაწვილი, — ეს დაგლეჯილი ფეხსაცმელი, რომლითაც იგი რამდენიმე საათი დადიოდა ტალახში, ახლა ალბათ წყლით ექნება სავსე, — ხოლო ამ ძველსა და საკინძეგახსნილ დახეულ ჯუბაში ხომ სულ გაიყინებოდა?.. ვალიამ ორივე ხელი ლოყებზე მოჰკიდა, მისი ხელებიც ყინულივით ცივი იყო.

— სულ მთლად გაშეშებულხარ, — უთხრა მან სერიოჟკას ლოყებზე ხელის მოუშორებლად.

სერიოჟკა მყისვე გაიტრუნა და ასე იდგნენ რამდენიმე ხანს. მხოლოდ შიშველი ტოტები ეჯახუნებოდნენ ერთმანეთს, მერე სერიოჟკამ ჩაილაპარაკა:

— ნუღარ ვაყოვნებთ... ცოტა მოვშორდეთ ამ ადგილს და ყორეზე გადავხტეთ...

ვალიამ ხელები მოაშორა.

ისინი ოლეგის სახლს მიუახლოვდნენ იმ მხრიდან, საც მათი მეზობლები ცხოვრობდნენ. უცებ სერიოჟკამ ხელი წაატანა მას და უმალვე ორივენი კედელს აეკვრნენ. ვალიამ, რომელსაც არა გაეგებოდა რა, ყური ზედ ტუჩებზე მიადო ვაჟს...

— ორნი მოდიოდნენ პირდაპირ, შეგვნიშნეს და შეჩერდნენ, — წასჩურჩულა სერიოჟკამ.

— ალბათ მოგეჩვენა...

— არა, დგანან...

— მოდი, ეზოში გადავხტეთ!

მაგრამ შემოუარეს თუ არა სახლს მეზობლების მხრიდან, სერიოჟკამ კვლავ შეაჩერა ვალია; იმ ორმაც სახლს მეორე მხრიდან მოუარა...

— ალბათ მოგველანდა!..

— არა, დგანან...

კოშევოების ბინის კარი გაიღო, ვიღაცა გამოვიდა და და ზედ შეეჩეხა იმათ, ვისაც სერიოჟკა და ვალია ემალებოდნენ.

— ლუბკა, რატომ არ შემოდიხართ? — მოისმა ელენე ნიკოლაევნას წყნარი ხმა.

— სუუ...

— ჩვენიანები ყოფილან! — უთხრა სერიოჟკამ ვალიას, ხელი ჩასჭიდა და თან გაიყოლა...

სიბნელეში ლუბკას წყნარი სიცილი გაისმა. ლუბკამ, რომელსაც სერგეი ლევაშოვი გიტარიანად მოსდევდა, და სერიოჟკამ და ვალიამ, რომლებიც სიცილით იგუდებოდნენ, ერთმანეთს უბიძგეს და შეირბინეს კოშევოების სამზარეულოში. ისინი ისეთი სველი, ტალახიანი და ისეთი ბედნიერნი იყვნენ, რომ ბებია ვერამ გრძელი, გამხდარი ხელები მაღლა აღაპყრო:

— ამას რას ვხედავ, კეთილო ადამიანებო!

თარგმანი პ. აბრამიასი

1968



კომკავშირელთა, საბჭოთა ახალგაზრდობის თვალსაჩინო დამსახურებისა და საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებაში დიდი წვლილისათვის, სამშობლოს მტრებთან ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისა და გმირობისათვის, სოციალისტურ და კომუნისტურ მშენებლობაში აქტიური მონაწილეობისათვის, ვ. ი. ლენინის ანდერძის ერთგულების სულისკვეთებით მოზარდი თაობის აღზრდაში ნაყოფიერი მუშაობისათვის და სრულიად საკავშირო ალკკ 50 წლისთავთან დაკავშირებით, 1968 წლის 25 ოქტომბერს ახალგაზრდობის სრულიად საკავშირო ლენინური კომუნისტური კავშირი დაჯილდოვდა ოქტომბრის რევოლუციის ორდენით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**კომკავშირის იუბილეს მიუძღვნეს**



იმ სამახსოვრო დღეს, 26 ივლისს, მთელ კოჯორში სამი ფერი ბატონობდა: მოსარკული ცის კრიალა ფირუზი, ხმელეთის ხავერდოვანი ზურმუხტი და ხასხასა წითელი — პიონერული ყელსახვევის ფერი...

მზე გადაიხარა თუ არა, ხალხმა დაბა კოჯრის ცენტრისაკენ დაიწყო დენა და მოედნის გარშემო ამწვანებულ ფერდობებს შეეფინა. ბიჭბუჭები ცაცხვებზე აძვრნენ და მტრედებივით ჩასხდნენ მოქანავე ტოტებში — აქედან უფრო კარგად ჩანდა, რას აკეთებდნენ მოედანზე კომუნალური მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის ბანაკ „წითელი მიხაკის“ პიონერები და მათი ხელმძღვანელები—ბანაკის უფროსი რობერტ ერაძე და პიონერხელმძღვანელი შალვა ნინუა.

აი ობელისკი, რომელიც პიონერებმა საკუთარი მარჯვენით აუგეს კოჯრელ შინმოუსვლელებს.

# საკუთარი მარჯვენით

ის დღე სევდანარევი ზეიმის დღე გახლდათ...

...მოგვიანებით ვერავინ გაიხსენა, რომელმა „წითელმიხაკელმა“ პიონერმა შენიშნა პირველად, რომ კოჯორში არ არსებობდა სამამულო ომში დაღუპულ გმირთა მემორიალი. ვერც ის მოიგონეს, პირველმა ვინ თქვა: მოდით, შინმოუსვლელთა ობელისკი ავაგოთ და კომკავშირის მე-60 წლისთავს მივუძღვნათო! თუმცა, თქვენც დამეთანხმებით, რა მნიშვნელობა აქვს, ვის ეკუთვნის პრიორიტეტი? მთავარი ის არის, რომ „წითელმიხაკელებმა“ იდეა აი-

ტაცეს, საქმეს დიდი ენთუზიაზმით ეკვეთნენ და სულ მოკლე ხანში საკუთარი მარჯვენით ბანაკის ეზოში ისეთი ობელისკი აღმართეს, ავ თვალს არ დაენახვება.

ვიდრე ობელისკს ააგებდნენ, ალისფერყელსახვევიანმა გოგო-ბიჭებმა მთელი კოჯორი შემოიარეს, ყველა ეზო-ყურეში შეიხედეს და დაადგინეს, რომ ომიდან თურმე 50 კოჯრელი არ დაბრუნებულა. პიონერებმა შეისწავლეს გმირთა ომამდელი და ომისდროინდელი ცხოვრების გზა, გაეცნენ მათ ოჯახებს, მემკვიდრეებს, დაძებნეს ფოტოსურათები, შეადგინეს ალბომები, საფუძველი მოამზადეს საბრძოლო დიდების მუზეუმისათვის, გააკეთეს მემორიალური დაფა...

...მოედანზე გამართულ მიტინგსა და ბანაკის ეზოში, ობელისკთან მოწყობილ ზეიმზე სიტყვით გამოვიდნენ ომის ვეტერანები — ექიმი პლატონ ფეიქრიშვილი, პედაგოგი მიხეილ ხაჩოიანი, პროფ. კარლო ცქიტიშვილი, აგრეთვე მწერალი ბორის ჩხეიძე, პიონერი თამრიკო მეტრეველი და სხვები. ომის ვეტერანმა პოეტებმა — თეიმურაზ ჯანგულაშვილმა და გიორგი ქავთარაძემ წაიკითხეს ლექსები.

ამაღელვებელი იყო ობელისკის გახსნის ცერემონიალი...

გაისმის ბრძანება „სმენა". ჯერ კიდევ თეთრ საბურველშემოხვეულ ობელისკთან საპატიო ყარაული დგას: ოთხი შაშხანიანი ჯარისკაცი და ოთხი წითელყელსახვევიანი პიონერი. სრულ სიჩუმეში რაზმის საბჭოს თავმჯდომარეები პატაკს აბარებენ რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარეს, იგი — უფროს პიონერხელმძღვანელს, ეს უკანასკნელი კი ბანაკის უფროსს. და აჰა, გაცემულია ბრძანება, ობელისკს ნელა შემოეცალა საბურველი და თეთრი ფრინველივით დაეშვა მიწაზე.

ოქტომბრელებმა, პიონერებმა, სტუმრებმა ტაშის გრიალში ცოცხალი ყვავილებით შეამკეს ობელისკის კვარცხლბეკი. აი, მას მემორიალური დაფაც მიამაგრეს. ბანაკის უფროსი პიონერხელმძღვანელი შალვა ნინუა კითხულობს შინმოუსვლელთა გვარებს:

— გოგოლაძე ირაკლი!
— ჩოხელი ალექსი!
— კეკელია ივანე!
— კორინთელი ვახტანგი!
— წიკლაური თედო!
— ხალვაში ბენო!
— პაპუნაშვილი ნადია!
— ტიმოფეევი ვლადიმერი!..

ხანშესულ კოჯრელებს დროდადრო ჩრდილი გადაურბენთ სახეზე — ამოკითხულნი ხომ მათი მეზობლები, მეგობრები თუ ნათესავები არიან...



საპატიო ყარაულში დგანან ჯარისკაცები და პიონერები.

მერე დახრილი დროშებით და პიონერული სალამით ალისფერყელსახვევიანმა გოგონებმა და ბიჭუნებმა პატივი სცეს შინმოუსვლელთა ხსოვნას. და სწორედ ამ წამს უნებლიეთ ისევ მისწვდა თვალი იქვე, შენობის კედელზე ლამაზი ასოებით წარწერილ სიტყვებს: „არავინ და არაფერი არ არის დავიწყებული!" მართლაც, აკი ეს საქმით დაამტკიცეს „წითელმიხაკელმა" პიონერებმა, დაამტკიცეს და სხვასაც მისცეს მშვენიერი მაგალითი. ტყუილად კი არ თქვა კოჯრის სადაბო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ოთარ კლდიაშვილმა: „ჩვენ მადლობელი ვართ პიონერებისა. მათ მაგალითი გვიჩვენეს და ფაქტის წინაშე დაგვაყენეს. მაგრამ ვალში არც ჩვენ დავრჩებით: მალე დაბის ცენტრშიც აღვმართავთ შინმოუსვლელთა ობელისკს."

ასეა, მეგობრებო, კეთილი საქმე გადამდებია და სიკეთე — დაუსრულებელი...

პატარა, მაგრამ ლამაზი და ძვირფასი საჩუქარი მიუძღვნეს პიონერებმა ლენინური კომკავშირის მე-60 წლისთავს.

ნუგზარ აფხაზავა

ფოტო
ვ. გორისენკოსი




# ყველაზე კარგი საიუბილეო საჩუქარი

ნათელა ფაილოძე

ორი წლის მანძილზე კლუბ „კოცონის“ სახელზე პიონერული აქტივის უამრავი ბარათი მოვიდა. რგოლის ხელმძღვანელები, რაზმისა თუ რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარეები გვწერენ იმ გარჯა-შრომაზე, რომელსაც ისინი პიონერული მარშის მარშრუტების მიხედვით წარმართავენ, იმ საქმეებზე, რომელთაც საბჭოთა საქართველოს ახალგაზრდა თაობის გადაძახილის „სწორება კომუნისტებზე!“ მიხედვით თავიანთ პიონერულ კოლექტივებში აკეთებენ.

გადაძახილის ოთხივე ეტაპი დიდი ენთუზიაზმით აღინიშნა და ამასთან ერთად დიდი შრომატევადი იყო. ეს ეტაპები ყველა თქვენგანისათვის არის ცნობილი: „ჩვენი კომკავშირული პატაკი ოქტომბერს!“ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის იუბილეს შეხვედრა, „ჩვენი ცოდნა, შრომა, შემოქმედება—საქართველოს კომკავშირის XXXI ყრილობას!“ „პატაკი ლენინურ კომკავშირს!“ საბჭოთა საქართველოს კომკავშირელებისა და ახალგაზრდების პატაკი ლენინური კომკავშირის XVIII ყრილობისადმი; და, აჰა, 1978 წლის მაისში დაწყებული მეოთხე ეტაპი, რომელიც ლენინური კომკავშირის მე-60 წლისთავს ეძღვნება და ცნობილია დევიზით: „თაობათა ბრძოლისა და შრომის სახელოვანი გზა!“.

პიონერული აქტივისთვის ოქტომბერი ყოველთვის განსაკუთრებული თვეა — პიონერულ ხაზზე სტარტი ეძლევა ახალ პიონერულ წამოწყებებს. წლეულს ოქტომბერში პიონერთა უფროსი მეგობარი — ლენინური კომკავშირი 60 წლისთავს ზეიმობს!

...წინ მიდევს ოთხი ბარათი.

პირველი მათგანი ლანჩხუთის რაიონის სოფელ სუფსის საშუალო სკოლის მეშვიდეკლასელის ნინო მჟავიას ხელმოწერითაა გამოგზავნილი.

„კოცონმა“ დამამეგობრა თეთრი წყაროს ქართული საშუალო სკოლის პირველ რაზმთან, დავუკავშირდი პირველი რაზმის საბჭოს თავმჯდომარეს ნანა მენთეშაშვილს. ვთხოვე, ლენინური კომკავშირის იუბილესათვის რაზმის სამზადისზე მოეწერა, მოეთხრო, თუ როგორ მონაწილეობდნენ გადაძახილში „სწორება კომუნისტებზე!“ და ამასთან ერთად— ამ დიდ საქმეში პიონერული აქტივის, როგორც პიონერული საქმიანობის ორგანიზატორის როლზე“.

ნანას ლანჩხუთელ თანატოლთა სურვილი შეუსრულებია; ნინო გვწერს:

„...ჩვენ უკვე კარგი მეგობრები ვართ. განსაკუთრებით ის მოგვეწონა, რომ სწორედ კომკავშირის იუბილესათვის მზადების დღეებში ნანა მენთეშაშვილის რაზმი კომკავშირული კლასი გამხდარა, მაგრამ კვლავაც რაზმეულის მეგობრად დარჩენილა: კომკავშირელებმა სახელმძღვანელოდ პიონერული რაზმები დაინაწილეთო. მოგვწონს ნანა მენთეშაშვილის კლასის ერთსულოვნება სწავლაში, პიონერულ თუ კომკავშირულ საქმიანობაში. ვფიქრობ, ეს ყველაზე დიდი და კარგი საჩუქარია კომკავშირის იუბილესათვის. მადლობელი ვართ ჟურნალ „პიონერის“ რედაქციისა, რომელმაც ასეთი გულითადი მეგობარი შესძინა ჩვენს რაზმს“.

პიონერული აქტივის სიყოჩაღეზე გვიამბობს თავის წერილში დუშეთის რაიონის სოფელ ლაფანაანთკარის სკოლის მოსწავლე, რგოლის ხელმძღვანელი მზაღო აფციაური.

„პიონერულ აქტივში იმათ ვირჩევთ, ვისაც შრომა არ ეზარება, სპორტი უყვარს და სწავლაში ჩამორჩენილებზე ზრუნავს. ჩვენი არჩეულები მაყვალა ბაიაშვილი, ნათელა წოწკოლაური ყველას ნდობას ამართლებენ. მათი სიყოჩაღე განსაკუთრებით მაშინ გამოჩნდა, როცა „მზიან ქედზე“ სალაშქროდ ვიყავით. აქ არის ბუნების საოცრება — 9-სართულიანი გამოქვაბული. გამოქვაბულში მოლაშქრეთა წერილები ინახება. ჩვენც დავტოვეთ ჩვენი ბარათი.

განსაკუთრებით ლაშქრობის დროს გამოჩნდება ხოლმე პიონერის ხასიათი; ამ დროს უპირატესობას იმათ ვანიჭებთ, ვინც გულადია, პრინციპულია და საქმისადმი პასუხისმგებლობით გამოირჩევა. ეს კი ჩვენთან ყველაზე უფრო იოსებ ჭინჭარაულს ახასიათებს. მისი იმედით ვართ ხოლმე შორეული ლაშქრობების დროს.

იოსებს სოფელში პატივს სცემენ, რადგან არც ერთი მოხუცი არ რჩება უყურადღებოდ, ეს წისქვილიდან ფქვილის წამოღებაო, ეს შეშის დაჩეხვაო, რომელი ერთი ჩამოვითვალოთ. მოხუცებიც მისი კეთილი გულისათვის მთელი სკოლის პიონერებს ლოცავენ.

აჩუქე ადამიანებს სიხარული! — მომწონს ეს დევიზი, ამბობს ხოლმე იოსები; მას სხვებიც ბაძავენ და, არა მარტო მოხუცებს, ჩვენს ირგვლივ მყოფთ ყველას გვინდა ვაგრძნობინოთ ადამიანური სითბო და სიხარული. იოსები პირველი კლასიდან სულ ხუთებზე სწავლობს; კომკავშირის იუბილესაც, ბევრ კეთილ საქმესთან ერთად, სწავლაში ხუთიანებს უძღვნის. როცა რგოლსა თუ რაზმში იოსებისთანა ყოჩაღი პიონერები ბევრნი იქნებიან, ჩვენც, რგოლის ხელმძღვანელებს, მუშაობა არ გაგვიჭირდება“.

თბილისის 143-ე საშუალო სკოლის მეათე რაზმიდან მზია გიგაური გვწერს პიონერულ შეკრებებზე, რომლებიც მან და მისმა თანარაზმელებმა პიონერული აქტივის დახმარებით ჩაატარეს საქართველოს ახალგაზრდობის გადაძახილის ოთხივე ეტაპის დროს. როგორც მზია გვატყობინებს, რაზმეულის მატიანეში ოქროს ასოებით ჩაიწერა კომკავშირის იუბილესათვის მზადების პერიოდი.

რესპუბლიკურ პიონერულ აქტივს ბე-

ვრჯერ სმენია თერჯოლის რაიონის პიონერთა სასახელო საქმეებზე, განსაკუთრებით კი ზედა საზანოელებზე — სოფლის ბუნების დიდ ქომაგებზე.

ზედა საზანოს საშუალო სკოლის რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარემ ნელი გიორგაძემ პიონერული კლუბის „კოცონის" ხელმძღვანელებს საიუბილეო სამზადისზე შეატყობინა:

„...გადაძახილის პერიოდში რაზმეულის წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანეს სკოლის კომკავშირელებმა, რომლებმაც რაზმის ხელმძღვანელებად საუკეთესო კომკავშირელები გამოგვიგზავნეს. ისინი მუდამ ჩვენთან არიან. პირველნი ისინი გვატყობინებენ ხოლმე საბჭოთა კავშირის პიონერთა ორგანიზაციაში მომხდარ მოვლენებს, გვეხმარებიან რაზმის შეკრების მომზადება-ჩატარებაში, ჩვენთან ერთად ზრუნავენ სამუშაო გეგმების შესრულებისათვის, გვთავაზობენ საინტერესო კლასგარეშე საკითხავ ლიტერატურას და ა. შ.

რაზმეულმა, რომელიც ჩაბმულია საქართველოს ახალგაზრდა თაობის გადაძახილში „სწორება კომუნისტებზე!" ყველა ეტაპზე კარგად ჩააბარა გამოცდა. შეჯიბრებაში ალისუბნის საშუალო სკოლის რაზმეულთან ვიყავით ჩაბმული; ჩვენ გავიმარჯვეთ. შევაგროვეთ 7 ტონა ჯართი, წარმატება მოვიპოვეთ ოპერაცია „თეთრ ფარში", რომელიც საქართველოს კომკავშირის XXXI ყრილობისადმი იყო მიძღვნილი. მაკულატურის შეგროვებაში ყველას გაუსწრეს პირველმა, მეშვიდე, მერვე და მეცხრე რაზმებმა. სულ 4 ტონა მაკულატურა შევაგროვეთ.

შევისწავლეთ გმირი პიონერებისა და კომკავშირელების — ვალია კოტიკის, ლიონია გოლიკოვის, ზოია და შურა კოსმოდემიანსკების ცხოვრება. შეჯიბრი სკოლისა თუ სოფლის ბიბლიოთეკიდან წიგნის გატანა-წაკითხვაზეც გვქონდა გამოცხადებული. რაზმეულის საბჭომ ამ საქმეს კარგად გაუწია კონტროლი. სწავლაში ყოჩაღ მზია გიორგაძეს ხშირად ნახავთ ბიბლიოთეკაში. კარგად მოფიქრებული დღის რეჟიმი შველის მას სწავლაშიც და კლასგარეშე ლიტერატურის კითხვაშიც. ისიც შევნიშნეთ, რომ ზოგიერთებისათვის წიგნთან მეგობრობა სასწავლო სახელმძღვანელოთი იწყება და მთავრდება. მათ დავეხმარეთ, საინტერესო წიგნები შევურჩიეთ, სკოლისა თუ სოფლის მდიდარ ბიბლიოთეკასთან დავაკავშირეთ. შემდეგ ერთად გავარჩიეთ წაკითხული წიგნები.

საქართველოს ახალგაზრდობის გადაძახილის პერიოდში განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩვენი სკოლის მონაწილეობა მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებით რესპუბლიკურ კონფერენციაში, რომელიც ლენინური კომკავშირის 60 წლისთავს ეძღვნებოდა. რიგითი პიონერების, პიონერული აქტივის მიერ მომზადებულმა თემებმა მოწონება დაიმსახურეს და ჯილდოები მიიღეს.

რაზმეულმა აქტიური მონაწილეობა მიიღო კონკურსში „მუშა კაცს დარსა და ავდარში". შეფობა გავუწიეთ შინმოუსვლელთა ოჯახებს. რაზმეული როგორც საგაზაფხულო, ისე საზაფხულო სამუშაოებში დაეხმარა კოლმეურნეობას. სკოლის ეზო-გარემოც ახალი ნარგავებითა და ყვავილებით დავამშვენეთ. 2 ჰექტარზე დავრგეთ სკოლის სანერგეშივე გამოყვანილი კაკლის ნერგები.

...ხშირად გავდივართ სოფლიდან. ვიყავით მაჩხაანში, ფორე მოსულიშვილის სახლ-მუზეუმში, ვის სახელსაც ჩვენი რაზმეული ატარებს.

შევხვდით ჩვენი სოფლის პირველ კომკავშირელებს, მათთან ერთად მოვამზადეთ თეორიული კონფერენცია თემაზე: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი".

ჩვენი შეფები არიან საბჭოთა არმიის მეომრები. მათი ხშირი მონაწილეობითა და დახმარებით მოეწყო გადაძახილის მე-3 ეტაპის გეგმით გათვალისწინებული სამხედრო-სპორტული ზეიმები; მათი დახმარებით ბევრი რამ გაკეთდა საქართველოს კომკავშირის XXXI და საკავშირო ალკკ XVIII ყრილობების გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

ვმეგობრობთ სსრ კავშირის ყველა მოძმე რესპუბლიკის თანატოლებთან, მიმოწერა გვაქვს საზღვარგარეთელ ბავშვებთან; ახალი სასწავლო წლიდან ურთიერთობა დავამყარეთ შორეული ფერეიდნიდან კახეთში დაბრუნებულ ქართველ ბავშვებთან. გვსურს ზედა საზანოში მოვიწვიოთ ისინი.

...რაზმეულში განსაკუთრებით მე-8 რაზმი მინდა გამოვარჩიო, რომლის საბჭოს თავმჯდომარეა მაია ვარდოსანიძე. მაიას რაზმი ჩაბმულია დაუსწრებელ მოგზაურობაში „დიდების გზით". რაზმი ამჟამად გატაცებით აგროვებს მასალებს სამოქალაქო და სამამულო ომის გმირებზე.

ჩვენი რაზმეული პირნათლად ხვდება კომკავშირის იუბილეს, მან კომკავშირის ყველა დავალება შეასრულა.

ოქტომბერი კომკავშირის ზეიმის თვეა; ზედა საზანოელი ახალგაზრდების სიხარულს ჩვენც ვუერთდებით. სწორება კომუნისტებზე! — კომუნიზმის ერთგულ ჯარისკაცებზე სწორება! — კვლავაც ეს იქნება ჩვენი მოქმედების დევიზი".

...როცა პიონერულ აქტივს რაზმსა თუ რაზმეულში ისეთი საქმის წამოწყება სურს, რომ ყველა გააოცოს, უპირველესად რჩევისათვის ვის მიმართავს?

კომკავშირს!

განა რაზმეულის საბჭოს შეუძლია წარმატებას მიაღწიოს კომკავშირელთა დახმარების გარეშე? ვისი დახმარებითა და ხელმძღვანელობით ხდება პიონერული მარშის მარშრუტების მიხედვით რაზმეულის მუშაობის ორგანიზაცია, სხვადასხვა ექსპედიციები, ექსკურსია-ლაშქრობები, დღესასწაულები და შეხვედრები, შეკრებები და დისპუტები; ვისი დახმარებითა და ხელმძღვანელობით მუშაობენ ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბი, სპორტული კლუბი „ოლიმპია", „ცისკარი", ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის, საბრძოლო დიდების, პიონერული ორგანიზაციის ისტორიის ამსახველი ოთახების, მუზეუმების საბჭოები, მილიციის ნორჩ მეგობართა, ნორჩ ძერჟინსკელთა რაზმები? რასაკვირველია, კომკავშირელების, მათი, ვინც სულ ცოტა ხნის წინ ისე, როგორც ნანა მჟავია, მზაღო აფციაური, იოსებ ჭინჭარაული, მზია გიგაური, ნელი გიორგაძე და სხვები თვით ასრულებდნენ რაზმეულში რგოლის ხელმძღვანელების, რაზმისა და რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარეების მოვალეობებს.

საქართველოს ახალგაზრდობის გადაძახილი „სწორება კომუნისტებზე!" პიონერული აქტივის წრთობის თავისებურ სკოლად იქცა. კომკავშირმა ცოცხალი, საინტერესო საქმეების ორგანიზატორთა საუკეთესო შევსება მიიღო და კვლავაც მიიღებს, რაც თავისთავად პიონერული ორგანიზაციის ყველაზე კარგი საიუბილეო საჩუქარია კომკავშირის 60 წლისთავისათვის...




# ზნეობის ანბანი

## კეთილშობილება —

**უნარი უარი თქვა პირად ინტერესებზე სხვათა სასარგებლოდ, იმოქმედო პატიოსნად, აშკარად, გაგედულად; პირადი გამორჩენისათვის თავი არ დაიმციროთ.**

„იგი კეთილშობილურად მოიქცა“, „კეთილშობილური საქციელი“ — ვამბობთ ჩვენ, როდესაც ვხვდებით სულგრძელობას, უანგარობას, მოვალეობისადმი თავდადებულ ერთგულებას.

ომის წლებში ათასობით საბჭოთა ადამიანს თავისი დანაზოგი ტანკებისა და თვითმფრინავების ასაგებად შეჰქონდა, რომ გამარჯვება მოეახლოებინა. ეს რომ არ გაეკეთებინათ, ამ ადამიანებს არავინ გაკიცხავდა, — ისინი ისედაც მთელ ძალებს ახმარდნენ მტერზე გამარჯვების საქმეს.

როდესაც ლეიტენანტმა შმიდტმა აჯანყებული ფლოტის მეთაურობა იკისრა, თუმცა კარგად უწყოდა, რომ ეს საქმე განწირული იყო, მას მხოლოდ და მხოლოდ კეთილშობილება და მოვალეობისადმი ერთგულება ამოძრავებდა. სხვაგვარად მოქცევა მას არ შეეძლო, იგი საკუთარი თავისადმი პატივისცემას დაკარგავდა, „ოჩაკოვის“ მეზღვაურები ბედის ანაბარა რომ მიეტოვებინა.

„საღი გონების“ მომხრეთა აზრით ეს ამაო მსხვერპლის გაღება იყო, მაგრამ ადამიანური ღირსების თვალსაზრისით ლეიტენანტ შმიდტის ცხოვრება და დაღუპვა მრავლისთვის იქცა იდეალად.

რადიოს გამოგონებიდან ორი წლის შემდეგ, რუსეთის ფიზიკოქიმიური საზოგადოების ერთ-ერთ სხდომაზე ა. ს. პოპოვის მიერ ჩვეულებრივი სატელეგრაფო ანბანით სიტყვების „ჰენრიხ ჰერცი“ გადაცემა სიმბოლური იყო.

ეს სიტყვები აღნიშნავდა, ერთი მხრივ, ჰერცისა და მისი შრომების ადგილს რადიოს ისტორიაში და მეორე მხრივ ალექსანდრე სტეფანეს ძე პოპოვის კეთილშობილებას — ამით მან ხაზგასმით მიუთითა თავისი დიდი წინამორბედის ღვაწლზე რადიოს აღმოჩენაში.

როდესაც ცნობილმა პოლონელმა პედაგოგმა, ექიმმა და მწერალმა იანოშ კორჩაკმა უარი განაცხადა მიეტოვებინა თავისი აღსაზრდელები და მათთან ერთად ტრებლინკის სიკვდილის ბანაკის გაზის კამერაში შეაბიჯა, მან თავისი სიცოცხლის ფასად დაამტკიცა კეთილშობილება და პროფესიის ერთგულება.

„მე ვდგავარ... ვუყურებ. ყველანი კმაყოფილები არიან, ყველა მშვიდად არის... მაშასადამე, მეც მშვიდად ვარ!“ — გახსოვთ? თემურის ამ სიტყვებით მთავრდება არკადი გაიდარის მოთხრობა ბავშვების კეთილშობილებაზე.

ფარული, უანგარო დახმარება იმათთვის, ვინც ამას საჭიროებს, ეხმარება თემურს და მის რაზმს გახდნენ ძლიერი, ვაჟკაცური და კეთილშობილი ადამიანები.

ზოგიერთს მიაჩნია, რომ თემურელთა მოძრაობის კეთილშობილების აზრი მის უჩუმარობაშია, ეს არ არის სწორი. უჩუმარობა შეიძლება იყოს და არც იყოს (აბა სცადეთ და ააშენეთ სპორტული მოედანი ქალაქში ფარულად, უჩუმრად ისე, რომ არავინ არ დაგინახოთ), უანგარობა კი აუცილებელია, უამისოდ არ არის და არც შეიძლება იყოს თემურელთა მოძრაობა.

არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს კეთილშობილება მხოლოდ რაღაც განსაკუთრებულ შემთხვევაში ვლინდებოდეს.

ფილმის „ბალადა ჯარისკაცზე“ გმირი ალიოშა სკვორცოვი ომის დროს შვებულებით მიდის დედასთან და გზად მრავალ სულგრძელ, კეთილშობილურ საქმეს სჩადის. აი ერთ-ერთი მათგანი: ფრონტელმა ამხანაგმა სთხოვა ალიოშას, ინახულოს მისი ცოლი და გადასცეს მას სამი ნაჭერი საპონი. სხვა აბა რა გაჩნია კაცს მოწინავე ხაზზე!

ალიოშამ მოძებნა სახლი, რომელშიც ცხოვრობს მისი ფრონტელი ამხანაგის ცოლი, მაგრამ ამ ოჯახში უკვე აღარ ელიან ფრონტელს — ქალმა თავისი ცხოვრება სხვას დაუკავშირა. ალიოშა უკან ბრუნდება და ქალს საპონსართმევს, რადგან მას არ შეუძლია ღალატის პატიება.

შვებულება ხანმოკლეა, დრო სულ ცოტაღა დარჩა, მაგრამ ალიოშა უცნობ ქალაქში პოულობს ფრონტელი ამხანაგის მამას, რომ შვილის ამბავი შეატყობინოს. უნდა ნახო მოხუცი მამის თვალზე მომდგარი სიამაყის ცრემლები, რომ შეაფასო ის, რაც ალიოშამ გააკეთა.

ერთი შეხედვით თითქოს განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. მაგრამ ალიოშას შვებულება მხოლოდ ერთი კვირით ჰქონდა და ჯარისკაცის თხოვნა რომ არ შეესრულებინა, ამისთვის არავინ გაკიცხავდა.

მაგრამ არსებობს საკუთარი სამსჯავრო და ადამიანურ ღირსებასა და კეთილშობილებაზე საკუთარი წარმოდგენა, რაც აიძულებდა ალიოშას სხვა ადამიანებზე დაეხარჯა ამ შვებულების ძვირფასი დღეები...

შეასრულო, ერთი შეხედვით, სრულიად უმნიშვნელო თხოვნა, ხშირად არც ისე ადვილია. თითოეულ ჩვენგანს გამოუცდია ეს საკუთარ თავზე. განსაკუთრებით, როცა არავინ ხედავს, არავინ იცის, და ვერც ვერასოდეს გაიგებს და დაინახავს ვინმე.

თუ თქვენ ძალგიძთ შეაფასოთ ის, რაც განადიდებს და საკუთარ თვალში აამაღლებს ადამიანს, თქვენ სწორ გზას ადგახართ.

თუ თქვენ სკეპტიკურად უყურებთ კეთილშობილების, უანგარობის გამოვლინებას და ყოველთვის აწონ-დაწონით: „აბა რა გამორჩენა მექნება აქედანო“, თქვენ უთუოდ სერიოზული დაფიქრება გმართებთ.

ხოლო თუ თქვენ გულწრფელად გწადიათ კეთილშობილურად მოიქცეთ, სცადეთ დასაწყისისათვის გააკეთოთ რაიმე კარგი და კეთილი საქმე სხვისათვის, ოღონდ ისე, რომ ამის შესახებ არავინ არაფერი იცოდეს. დაე ის თქვენი საიდუმლო იყოს. გარდა ამისა, ამ საქმის გასაკეთებლად, უთუოდ რაიმე სიძნელის დაძლევა უნდა იყოს აუცილებელი. შემდეგ კიდევ და კიდევ...

აი, ასეთი სიკეთის ქმნის ჩვევა მალე თქვენში ადამიანების შეგნებულ სამსახურად გადაიქცევა.

ვ. ივანოვი



ქ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწ

# ჩვენი ნამდვილი მეგობარი

ვლადიმერ
ასლანიშვილი

მოთხრობა*

მხატვარი
ვახტანგ გულისაშვილი

მასწავლებელს შეუნიშნავს, ძალიან გაჯავრებულა და ბაბალე ბებია დაუბარებია. ეს რომ გავიგეთ, გადავწყვიტეთ, მისეული მერხი მოგვეძებნა. ჩემმა რაზმელებმა მე გამომაგზავნეს და აი, მეც ვეძებდი.

— მერე, იპოვე? — მოუთმენლად ჰკითხა ზურიკომ.

— ვიპოვე! წამოდით, გიჩვენებთ! — მიტო მერხებთან მივიდა, შიგნით შეძვრა, ერთ მერხს ხელი დაადო, ეს არისო, თქვა და უკანვე გამოძვრა.

— მოდი აქეთ გამოვიტანოთ, კარგად ვნახოთ, — თქვა თემურმა.

— კარგი იქნება! — გაუხარდა ჩალიანელს.

ბიჭებმა მერხები გადმოაწყეს და შავად გალაქული ძველი მერხი ეზოში გამოიტანეს. მაკამ მერხის ლაყლაყა კალთა გადასწია. კალთაზე დანით ამოკვეთილი ინიციალები „გ. პ." აღმოჩნდა.

— ვითომ ის მერხია? — დაეჭვდა ზურიკო.

— რა თქმა უნდა! — წამოიძახა მიტომ.

— რაღაც არა მგონია.

— ხომ შეიძლება „გ. პ." ნიშნავდეს გიორგი პატარქალაშვილს, გიორგი პეტრიაშვილს, პავლიაშვილს, პაპუნაშვილსა... პ-ზე გვარები ჩვენს სოფელში იმდენია, რამდენიც გინდა.

— ეე, შენ მე რას მასწავლი, იმის დედაზე უკეთესად არავინ იცის! ეს მერხი ნამდვილად გმირისაა! როგორ გაუხარდებათ ჩემს ამხანაგებს! — ამბობდა მიტო და მერხს ხელს ისე უსვამდა, თითქოს ეფერებაო.

— ნეტავი რისთვის გინდათ, ეს ხომ ძველი მერხია! — ისე თქვა მაკამ, ვითომ სულაც არ აინტერესებდა, რა მიზნით მიჰქონდათ ჩალიანელებს შავი მერხი.

— კლასში გმირის ცხოვრების ამსახველ კუთხეს ვაწყობთ. ამ მერხს იმ კუთხეში დავდგამთ, — მიუგო მიტომ.

— რაკი ასეა, მომწონს თქვენი გადაწყვეტილება, — ზურიკომ ჩალიანელს ხელი გაუწოდა. — მშვიდობაში მოგახმაროთ.

იმით გახარებულმა მიტომ, რომ მთელი დავიდარაბა ასე უცებ, კეთილად დამთავრდა, ზურიკოს ხელი მაგრად ჩამოართვა.

— ახლა შემიძლია წავიდე?

— წადი, გაუღიმა ზურიკომ. — თავიდანვე მაგრე გეთქვა, ბიჭო.

— მეგონა, სიმართლე რომ მეთქვა, მერხს წამართმევდით! — მოიბოდიშა მიტომ.

— რას ამბობ, ჩვენ მაგისთანა გაუგებარი ხალხი არა ვართ. როდის აპირებთ ამ მერხის წაღებას?

— საღამოხანს, ბიჭებს წამოვიყვან და... აბა, ნახვამდის! — გამოემშვიდობა მიტო და წავიდა.

თვალს რომ მიეფარა, ზურიკო მერხზე დაჯდა.

მაკა მიხვდა, ჯერ შინ წასვლას არ აპირებდა.

— არ წავიდეთ?

არც ჰო უთქვამს, არც არა, რაღაცას ფიქრობდა.

— დაყრუვდი? — შიგ ყურში ჩასძახა მაკამ.

ზურიკომ ძლივს ამოიღო ხმა:

— მოიცათ, იცით, რას გეტყვით? მერხი ჩალიანელებს არ უნდა გავატანოთ.

— რატომ? — გაიოცა თემურმა.

— მერხს ჩვენს კლასში დავდგამთ. მთელ სკოლაში მხოლოდ ჩვენ გვექნება გმირის მერხი!

— ეგ უსამართლობა იქნება! — მაკამ თემურს გადახედა, შენ რას ფიქრობო. თემურმა მხრები აიჩეჩა.

— რა ვიცი, მერხი ჩალიანელებმა იპოვეს და...

—მერე რა, მაინც ჩვენია, ჩვენი სკოლის ინვენტარია, — თქვა ზურიკომ. — თქვით, ვტყუივარ? ეგეც რომ არა, გიორგი სამამულო ომში ჩვენი სკოლიდან წავიდა, სწორედ ამ მერხიდან ადგა და წავიდა. ფანიანის მკვიდრი იყო, შინმოუსვლელთა სტენდზე მისი დიდი სურათია გამოკრული. ჩვენი რაზმეულიც იბრძვის, რომ გმირის სახელი მიეკუთვნოს. მერე რა, რომ იმისი დედა ახლა ჩალიანში ცხოვრობს, ადრე ხომ ჩვენი სოფლელი იყო. — ზურიკომ მერხს ხელი დაჰკრა. — თქვენ ამბობთ, იმათ აღმოაჩინესო! კი, ბატონო, აღმოჩენისათვის მადლობა ვუთხრათ, ცოცხალი თავით კი მერხს ვერ დავუთმობთ. რომ დავუთმოთ, ვინც გაიგებს, რას იტყვის, დაგვცინებენ: კამეჩის რქაში ხომ არ ისხედით, რამ გამოგაშტერათ, გმირის მერხი სხვას როგორ გაატანეთო? არა, ძმაო, ჩალიანელები ამ მერხს თითსაც ვერ დააკარებენ. — ზურიკოს უცებ სახე გაუბრწყინდა, თვალებში ეშმაკური სხივი ჩაუდგა. — მაინც თუ შემოგვედავენ, იცით, რა ვქნათ?

—თქვი, — უთხრა სმენადქცეულმა მაკამ.

— უნდა შევცვალოთ!

— რა? — ვერ გაიგო თემურმა.

— მერხი!

— რას ამბობ! — თემურმა ხელი ჩაიქნია. — არაფერი გამოვა, გგონია, ვეღარ იცნობს?

— მაშინვე მიხვდება! — კვერი დაჰკრა მაკამ.

— კაცო, ბოლომდე მომისმინეთ, — ზურიკომ ხმას დაუწია. — მოვძებნით სწორედ ასეთსავე ფერის მერხს და ზედ

* გაგრძელება. იხ. „პიონერი" № 9

ამისთანა ინიციალებს ამოვჭრით. ის მიტო ვერაფერს ვერ მიხვდება, ამაზე რას იტყვით?

მაკასა და თემურს ზურიკოს ჩანაფიქრი მოეწონათ, მართლაც, თუკი მსგავს მერხს იპოვიდნენ და ამოჭრილ ინიციალებსაც ზუსტად მიამსგავსებდნენ, მიტო რას მიხვდებოდა! ზურიკომ და თუმურმა მალე მიაგნეს ასეთ მერხს; მაკამ ჩანთიდან ფანქრის სათლელი დანა ამოიღო და ზურიკოს მიაწოდა, ზურიკომაც მერხის კალთაზე ფრთხილად ამოჭრა ინიციალები, ფანქრით გაამუქა, მტვერი დააყარა და შეუბერა. ამის შემდეგ ძნელი იყო სიყალბის შემჩნევა.

— ახლა კი წავიღოთ, — თქვა კმაყოფილმა ზურიკომ.

მაკამ ჩანთები ამოიღლიავა, ბიჭებმა კი მერხი ასწიეს და დაიძრნენ.

სოფლის მთავარ გზაზე რომ ავიდნენ, მერხი მიწაზე დადგეს და დასასვენებლად ზედ ჩამოსხდნენ.

გზაზე სახედარშებმული ურიკა გამოჩნდა. კოფოზე შეჯაგრული, თუშურქუდიანი ხნიერი კაცი იჯდა. ამ კაცს სოფელში ყველა კარგად იცნობდა — ერთობ დაბალი, მოკლეფეხება იყო და კუტიკოლას ეძახდნენ. კუტიკოლას ახალი სკოლის მახლობლად ერთი პატარა, კრამიტით გადახურული სახლი ედგა, მარტოდმარტო ცხოვრობდა. ცოლი ადრე გარდაეცვალა, შვილები და შვილიშვილები დიდი ხანია ქალაქში გახიზნულიყვნენ, იშვიათად თუ ჩამოაკითხავდა ვინმე. კუტიკოლა სამოცდაათს იყო მიღწეული. კოლმეურნეობიდან პენსიას იღებდა, მაგრამ არ ისვენებდა, შეაბამდა რკინისთვლებიან ურიკაში ნაცარა სახედარს და ხან ტყეში დადიოდა, ხან ვენახში.

მერხზე ჩამომსხდარ ყმაწვილებს რომ მიუახლოვდა, კუტიკოლამ ურიკა გააჩერა.

— გამარჯობათ, ბალღებო!

— გაგიმარჯოს! — ერთხმად მიუგეს.

— სად მიგაქვთ ე ძველი მერხი, ბალღებო?

— სკოლაში, კოლა ძია! — უპასუხა ზურიკომ.

— მაიტა, ურიკაზე დადეთ, აგირბენინებთ!

— გმადლობთ, კოლა ძია! — გაუღიმა მაკამ. — ეს ისეთი მერხია, ხელით უნდა წავიღოთ.

— მაინც როგორია, გოგო? — გაიოცა მოხუცმა და მერხი შეათვალიერა. — რა ვქნა, ისეთს რომ ვერაფერს ვატყობ?

— გმირის მერხია!

— დახე შენა! რომელი გმირისა, შვილო?

— გიორგი პაპუაშვილისა!

— მართლა, კაცო?!

— დედას გეფიცებით!

— დახე შენა! სად მიაგნეთ, ბალღებო?

— ძველ მერხებში!

— ბარემ ეგეც მითხარით, რად გინდათ?

— კლასში დავდგამთ, გავუფრთხილდებით!

— აი თქვენ კი გაიხარეთ, აჰა! მაგრე უნდა იმ ბიჭს პატივისცემა. ვენაცვალე იმის სულს! ყოჩაღი იყო, კაცო, თავის ტოლებში ყველას ჯობნიდა, ჭიდაობა გინდოდა — პირველობდა, კრივი გინდოდა — პირველობდა, სულ ცეცხლი და ნავთი იყო. იმიტომ ცეცხლივით არ დაერია იმ მამაძაღლ ლემენცებს? ეე, საწყალი მამამისი, ისიც ომს შეეწირა. — კუტიკოლამ სახრე მუქარით მაღლა შემართა, შუბლშეკრულმა ლურჯად მოკამკამე ცას ახედა: — რატო სული არ აგიძაღლდება, გიტლერო!

ჰიტლერის ლანძღვით გული რომ იჯერა, კუტიკოლამ მაშინღა შენიშნა თემური, დააკვირდა.

— ე ბიჭი რატომ ვერ მიცვნია!

— მილიციის ინსპექტორისაა. თემური ჰქვია, — გააცნო ზურიკომ.

— თორღვასი? დახე შენა! მაგისი მამა ორი დღის წინ შორიდან, ეგრე ას მეტროში გავიცან, მითხრეს — ახალი ინსპექტორიაო. ძაან ყოჩაღია მამაშენი, ბიჭო! — კუტიკოლამ თემურს ხელი დაუქნია, — მოდი, ხელი ჩამომართვი.

თემური ურიკის კოფოზე გამოჭიმულ მოხუცთან მივიდა, ხელი გაუწოდა, გაიცინა.

— რა იცით, რომ მამაჩემი ყოჩაღია?

— რას ამბობს, კაცო, ეს ბიჭი! კაცი რომ მილიციაში დაიწყებს მუშაობას, ხან ქურდებს დასდევს დასაჭერად, ხან ათას ოხერსა და მამაძაღლს, ყოჩაღი არ იქნება?

კუტიკოლამ თითი ზურიკოსკენ გაიშვირა და დაიყვირა:

— ეი, ელიოზას ბიჭო, რთველში შენც გეპატიჟები, ამ ჩვენი კოლმეურნეობის ბუღალტრის იოსებას გოგოსაც და აი ქალაქელ ბიჭსაცა. იმისთანა რთველი გვექნება, სულ ცალ ფეხზე უნდა ვიცეკვო.

კუტიკოლამ სახედარს სახრე გადაჰკრა.

— აჩი, აჩი, ჩემო ნაცარავ!

სახედარი წაჩაქჩაქდა, ურიკა და ზედ ამხედრებული პატრონი გზაზე გაარახრახა.

— ჩვენი წასვლის დროც არის, — მოაგონა ბიჭებს მაკამ და ჩანთებით დაიტვირთა. თემურმა და ზურიკომ მერხი ასწიეს.

სკოლის ეზოში რომ შევიდნენ, ბიჭებმა მერხი სკოლის სადარბაზოსთან დადგეს, რომ ცოტა შეესვენათ და მერე აეტანათ კიბეზე.

— ოჰ, როგორ დავიღალე, — მაკამ ჩანთები მერხზე დაყარა, — მშია კიდეც. ნეტავ რომელი საათია?

— ოთხი იქნება, — მიუგო თემურმა და ოფლიანი კისერი ცხვირსახოცით შეიმშრალა.

სადარბაზოდან სკოლის ცალთვალა მნე ზაქარა გამოვიდა, შედგა, გაკვირვებულმა ჯერ მერხს ახედ-დახედა, მერე ყმაწვილები შეათვალიერა.

— ეს რა მოგიტანიათ!

— მერხია, ძია ზაქარ! — სწრაფად უპასუხა მაკამ.

— რად გინდათ?

— კლასში დავდგამთ.

— კლასშიო? — თითქოს ვერ გაიგო ზაქარამ და პასუხის მოლოდინში თვალი აახამხამა.

— კლასში უნდა ავიტანოთ! — გაუმეორა მაკამ.

— რომელი კლასია თქვენი?

— მეექვსე „ა" — ხმა ამოიღო ზურიკომაც.

— მერე, მერხი გაკლიათ თუ რა, რისთვის გჭირდებათ ეს ჯაბახანა?

— ჯაბახანა არ არის, ეს ძვირფასი მერხია, ძია ზაქარ, — ნაწყენი კილოთი თქვა მაკამ.

— რა აქვს ამას ძვირფასი, კარგი რომ ყოფილიყო, ახალ მერხებს არ შევიძენდით, ნიკოლოზის დროინდელია, მაგას ნაჯახის მეტი არაფერი უნდა. საიდანაც მოგიტანიათ, ისევ იქ წაიღეთ. ეგღა მაკლდა! — ზაქარამ მერხის კიდეს ხელი მოჰკიდა, — ასწით, რაღას უყურებთ!

ბიჭები არ განძრეულან. ზურიკოს თავპირი ჩამოსტიროდა, არც თემური იყო კარგ გუნებაზე, ცხვირსახოცს ახლა გახურებულ ლოყებზე ისვამდა.

ზაქარამ ხმას აუწია:

— არ გესმით?

ბიჭები უხერხულად შეიშმუშნენ. მათი გეგმები ხუხულასავით ინგრეოდა. ზურიკომ იცოდა, სკოლის მნე თავისნათქვამა კაცი იყო. მოსწავლეებს დიდად ეშინოდათ მისი. გამოჩნდებოდა თუ არა, თითქოს ალალმა წიწილებს წამოუქროლაო, ისე გაიტრუნებოდნენ გოგო-ბიჭები. ზაქარა რკინისებური დისციპლინის მომხრე იყო და ვაი მას, ვისაც ყურში მისწვდებოდა, ისე აუწევდა, სიმწრის ცრემლებს ადენდა...

დაღვრემილმა ბიჭებმა მერხს ხელი მოჰკიდეს და მაკას უცდიდნენ, რომ ზედ დაყრილი ჩანთები აეკრიფა. მაკა ჩანთებს ახლოსაც არ გაეკარა. ჯიუტად იდგა ზაქარას წინ.

— ძია ზაქარ, მერხს უკან არ წავიღებთ!



— რაო, რაო? — ვითომ ვერ გავიგეო, მნე წელში მოიხარა. მაკას ლამის ტუჩებთან მიუტანა მარცხენა ყური.

— მერხს უკან არ წავიღებთ, ეს მერხი გიორგი პაპუაშვილისაა.

ზაქარა წელში გასწორდა, მაკას ერთხანს უყურა, თითქოს რაღაცას იგონებსო, მერე მერხს დახედა და თქვა:

— შენ რა იცი?

მაკამ მერხის კალთა გადაწია და ინიციალებს თითი დაადო.

— ეს ასოები მისი ამოჭრილია. ამ მერხიდან წასულა სამამულო ომში.

ზაქარა ასოებს დააკვირდა.

— ვინ იცის, იქნებ მართლა იმისეულია.

— დედას გეფიცები, იმისეულია, — გაიხარა მაკამ და ბიჭებს გაუღიმა, ვგონებ გვეშველაო.

— კლასში რატომ მიგაქვთ? — იკითხა ზაქარამ.

— კლასში დავიდგამთ და გიორგი პაპუაშვილი ჩვენი რაზმის საპატიო პიონერი იქნება. — მაკას მაგიერ სხაპასხუპით მიუგო აქამდე მუნჯივით მდგარმა ზურიკომ.

— გასაგებია, — თავი დაიქნია ზაქარამ. — იცით რა, ყმაწვილებო? თქვენი განზრახვა მომწონს, ოღონდ დირექტორის დაუკითხავად სკოლის შენობაში ძველს ვერაფერს შევიტანთ. მიდგით ა იმ კედელთან, დირექტორს შევუთანხმდები და, თუ ნება დამრთო, სადაც გინდათ, იქ დადგით.

გახარებულმა ყმაწვილებმა მერხი ნაჩვენებ ადგილას დადგეს და შინისაკენ გასწიეს.



საღამო ხანს ზურიკო აივანზე იჯდა და უმცროს ძმას, სპირიდონას რაკეტას უხატავდა. თან ცალი თვალი ჭიშკრისაკენ ეჭირა — საცაა საძოვრიდან ძროხა უნდა მობრუნებულიყო, დედა შინ არ იყო და თვითონ უნდა დაებინავებინა. ამ დროს ტელეფონმა დარეკა. ზურიკომ ალბომი და ფანქრები ძმას მისცა.

მაკა რეკავდა.

— იცი, რომ ჩალიანელებმა მერხი წაიღეს? — ყვიროდა ყურმილში მაკა.

— მართლა?

— ხო, ვერაფერს მიხვდნენ, ზურიკო!

— ვერ მიხვდნენ და მეც ეგ მინდა. — ჩაიცინა ზურიკომ.

— აბა კარგად იყავი! — ყურმილში წყვეტილი სიგნალები გაისმა.

•

მეორე დღეს ზურიკომ სკოლის ეზოში ფეხი შედგა თუ არა, უმალ იქით გასწია, სადაც ძველი მერხი ეგულებოდა. მერხი იქ აღარ დახვდა. ეგონა, ზაქარა დირექტორს შეუთანხმდა და კლასში ვინმეს აატანინაო. გახარებულმა კლასში აირბინა და პირკატა ეცა — მერხი არც იქ დაუხვდა. ჩანთა კლასში დატოვა, დერეფანში გამოსული ფიქრობდა და ვერ მოესაზრებინა, სად შეიძლებოდა ყოფილიყო მერხი. იქნებ ვინმემ ადგილი შეუცვალაო, ამ იმედით ეზოში ჩაირბინა, სკოლის გარშემო მიიარ-მოიარა, მერხი იქაც რომ ვერ ნახა, დაღონებულმა სკოლისაკენ მომავალ გოგო-ბიჭებით სავსე გზას მოუთმენლად დაუწყო ცქერა. მაკასა და თემურს ელოდებოდა.

მაკაც მალე გამოჩნდა. მან შორიდანვე შენიშნა ზურიკო და მისკენ წამოვიდა.

— რა დაგემართა, რა სახე ჩამოგტირის!

— მერხი დაიკარგა!

მაკამ იმ ადგილისაკენ გაიხედა, სადაც წინა დღეს მერხი დატოვეს.

— დედაა, მართლაც არა ჩანს. იქნებ კლასში აიტანა ზაქარამ?

— ვნახე, არც იქ არის!

— ვითომ მოიპარეს?

— რა ვიცი!

თავზე თემური წამოადგათ. სალამზე ორივემ უხალისოდ უპასუხა. ნეტავი რა დაემართათო, შეჰყურებდა მათ თემური და ელოდა, სანამ თვითონ იტყოდნენ.

— მერხი დაიკარგა! — თქვა მაკამ.

— აა, ამიტომ ხართ დაღონებულები?—უდარდელად გაიღიმა თემურმა. — რა იცით, რომ დაიკარგა?

— არც ეზოშია, არც კლასში! — ამოიხვნეშა ზურიკომ.

— ყველა კლასი გაჩხრიკეთ? შეიძლება სხვაკლასელებმა მიითვისეს, გმირის მერხზე უარს ვინ იტყოდა!

ზურიკოს უცებ სახე გამოუცოცხლდა.

— მართლა, ეგ როგორ ვერ მოვიფიქრეთ!

— დედაა, ცხვირს იქით აღარ ვიხედებით. — წამოიძახა მაკამ. — გასაკვირი არ არის, თუ მერხი ჩვენმა მოქიშპეებმა მოიპარეს!

თემური დაინტერესდა, ვინ არიან ეგ მოქიშპეებიო.

— პარალელური მეექვსე „ბ" კლასელები! — მიუგო მაკამ.

— მერვერაზმელები! — განმარტა ზურიკომ, ჯიბრში გვიდგანან, შარშან ოპერაცია „შავი საბადო" რომ გამოცხადდა, ჩვენ ათი ტონა ჯართი მოვაგროვეთ, იმათ კი — თერთმეტი. მაკულატურის შეგროვება რომ დავიწყეთ და გვეგონა ჩვენზე მეტს ვერავინ მოიტანდა, აქაც მერვერაზმელებმა გვაჯობეს ნახევარი ტონით. იქნებ გუშინ შეგვნიშნეს, რომ მერხი მოგვქონდა, მიხვდნენ, რისთვის გვჭირდებოდა და დაისაკუთრეს!

— რაღას ვუყურებთ, წავიდეთ იმათთან, — შესძახა მაკამ, მაგრამ ამ დროს ზარი დაირეკა, გაკვეთილი იწყებოდა...

გაკვეთილი დამთავრდა თუ არა, სამივე მოქიშპეებისაკენ გავარდა, კლასში შეიხედეს, მერხი არც იქ დახვდათ.

— სხვა კლასებიც შემოვირბინოთ, — თქვა თემურმა. სართულები დაინაწილეს. ელვის სისწრაფით ყველა კლასი და კაბინეტი შემოირბინეს. მერხი ვერსად ნახეს. დაღლილდაქანცულებმა გეოგრაფიის მასწავლებელს კლასში ძლივს შეასწრეს. მეტი რა ძალა იყო, ზაქარასთვის უნდა ეკითხათ, იქნებ იმან შეინახა, ან იმას სცოდნოდა მერხის ასავალ-დასავალი.

ოთხი გაკვეთილი ისე გავიდა, ზაქარას თვალი ვერ მოჰკრეს, მეხუთე გაკვეთილის დამთავრებას ხუთი თუ ექვსი წუთი აკლდა, რომ სკოლის ეზოში ცემენტით დატვირთული თვითმცლელი მანქანა შემოგრიალდა. კაბინიდან ზაქარა გადმოვიდა. ზარის დარეკვამდე დარჩენილი წუთები ძლივს ჩათავდა. ყმაწვილებმა სწრაფად ჩაინიშნეს გრამატიკის დავალება და, რაკი გაკვეთილები სულ დაუმთავრდათ, ჩანთებიანად ეზოში ჩაირბინეს.

ორ მუშას მანქანიდან ცემენტით სავსე პარკები გადმოჰქონდა, სკოლის სარდაფში ეზიდებოდნენ. ზაქარა იქვე იდგა, ხელში ბლოკნოტი ეჭირა და შიგ თვალი ჩაეშტერებინა. ბიჭები შორიახლოს გაჩერდნენ. მარტო მაკამ გაბედა მისვლა, წინ გაუჩერდა ზაქარას, ცოტა ხანს მოიცადა, იქნებ შემნიშნოს და თვითონ მკითხოს, რა გინდაო, მაგრამ ზაქარა ისევ ბლოკნოტში იცქირებოდა, რაღაცას ანგარიშობდა, და მაკამ ხმა ამოიღო:

— ძია ზაქარ, შეიძლება?

ზაქარას თავი არ აუწევია, ისე გამოხედა.

— რა გინდა?

ჩვენი მერხი სად არის?

— რა მერხი?

— გუშინ რომ მოვიტანეთ, — მაკამ თითი იმ ადგილისაკენ გაიშვირა, სადაც წინა დღეს მერხი დადგეს.

ზაქარამ მაკას თითს თვალი გააყოლა.

— ააა, მერხი? მერე იქ არ არის?

-- არა!

— მაშ რა იქნა?

მაკამ მხრები აიჩეჩა.

ზაქარამ ბლოკნოტი ცემენტით დამტვერილი პიჯაკის ჯიბეში ჩაიდო.

— იქნებ სხვაკლასელებმა აიღეს, გამიგეთ და სათითაოდ ყურებს ავახევ! — ზაქარამ თვალი ისე დააბრიალა, მაკა მიხვდა, ამ კაცს „სხვაკლასელები" იმ წუთს ხელში რომ ჩავარდნოდა, უყოყმანოდ აახევდა ყურებს.

— ყველა კლასი ვნახეთ, არ არის!

— ჰმ, საოცარია! ისე კი, იცი, რას გეტყვი, შვილო? იმ მერხს, სულ ერთია, დირექტორი სკოლაში არ შეგატანინებდათ. როცა ახალი ინვენტარი მოვიტანეთ, მაშინ თქვა, ძველი არაფერი დამანახოთო. გული არ დაგწყდეთ.

გული არ დაგწყდეთო, ადვილი სათქმელია! მაკა ბიჭებთან რომ მივიდა, ლამის ეტირა.

სამივემ შინისაკენ გასწია. მძიმედ, უხალისოდ მიდიოდნენ და მხოლოდ ერთი ფიქრი უტრიალებდათ თავში — სად გაქრა მერხი?

უცებ ზურიკო შედგა, თვალები იმედით გაუბრწყინდა.

— მე ვიცი, სადაც არის!

— სად? — ყურები ცქვიტეს მაკამ და თემურმა.

— ჩალიანელებმა მოიპარეს!

— რა იცი?! — გაუკვირდა მაკას.

— მაშ სად დაიკარგა. მითხარით. ქაღალდი ან ფოთოლი ხომ არ იყო, ქარს მოეტაცა? თავი მომჭერით, თუ იმათ არ ჰქონდეთ წაღებული.

— იმათ ერთი მერხი მიჰქონდათ, ზურიკო, მე ხომ ვნახე, — ხელი ჩაიქნია მაკამ.

— მოგვაჩვენეს. ის მერხი რომ წაიღეს, მერე ეს მერხიც მიაყოლეს!

— რა დროს? ნუთუ ვერავინ დაინახა? — თქვა თემურმა.

— ღამით, გვიან ღამით. დადეს მანქანაზე და წაიღეს.

ვინ დაინახავდა?! — ზურიკომ ბრაზით მუშტი ვიღაცას მოუღერა, ალბათ ჩალიანელ მიტოს დაემუქრა.

მაკამ და თემურმაც დაიჯერეს, რომ მერხს ჩალაუბნელები წაიღებდნენ, სხვა ვინ მოიპარავდა, როცა გმირის მერხით ისინი იყვნენ დაინტერესებულნი.

— დღესვე დავიბრუნოთ! — მტკიცედ თქვა თემურმა.

— გადადება აღარ ივარგებს, ჩვენი სკოლის ინვენტარი უნდა მოვითხოვოთ. ვუჩვენებთ სეირს! — ბობოქრობდა ზურიკო.

— ნუ ჩქარობთ, ჯერ კარგად ავწონ-დავწონოთ! — ურჩია ბიჭებს მაკამ. — თქვენ გგონიათ, მივალთ თუ არა, მაშინვე გამოგვიტანენ მერხს?

— მაკა მართალია, — თქვა თემურმა, — ცოცხალი თავით არ დაგვითმობენ. მთელ რაზმთან სამნი რას გავხდებით!

— მაშ რას ფიქრობთ, მერხი იმათ დავუტოვოთ? — შეშფოთდა ზურიკო.

— ხომ არ სჯობს, რაზმის სხვა წევრებიც წავიყვანოთ ჩალიანში? — შესთავაზა მაკამ.

ზურიკომ თავი გაიქნია:

— სიცილად არ ეყოფათ, თვალწინ მერხი როგორ აგაცალესო. მერე უხერხულია, უცებ მთელი რაზმით დავეცეთ ჩალიანელებს, ჯერ მოლაპარაკება გავმართოთ, დავუმტკიცოთ, რომ მერხი ჩვენ გვეკუთვნის და არა მათ. მოკლედ, აი რას გეტყვით: თუ მოდიხართ, ხო კარგი, თუ არა და მე არავისი მეშინია, მარტო წავალ.

მარტო რას გაუშვებდნენ. სახლებში შეირბინეს, ზეზეურად წაიხემსეს და პირველსავე ავტობუსს ჩალიანისაკენ გაჰყვნენ.

●

მაკამ თავისი ტოლი გოგონა დაინახა, გააჩერა და ჰკითხა, მიტო სად ცხოვრობსო.

— რომელი მიტო? — იკითხა გოგონამ.

— ჩვენხელა ბიჭია, აი, — მაკამ თემურზე მიუთითა, — ამ სიმაღლე იქნება.

— მეექვსეკლასელი? მეექვსე კლასში ორი მიტო სწავლობს, ერთი ახლოს ცხოვრობს, წამოდით, სახლს გაჩვენებთ.

მთავარი გზიდან ორღობეში გადაუხვიეს. გოგონა ერთ მწვანედ შეღებილ რკინის ჭიშკართან შეჩერდა, მძიმე კარი შეაღო და მიტოო, დაიძახა.

სახლიდან სარივით წვრილი, თმააბურძგნული ბიჭი გამოვიდა.

— შენ გეძახიან, — უთხრა გოგონამ და წავიდა.

— რა გინდათ? — იკითხა ბიჭმა. პასუხის მოლოდინში ცნობისმოყვარედ ათვალიერებდა უცხოებს. ის არ იყო, ვისაც ეძებდნენ.

მაკამ ბოდიში მოუხადა:

— გვაპატიე, ჩვენ სხვა მიტოს ვეძებთ, მგონი თქვენს კლასშია...

ბიჭმა თავი დაიქნია.

— არის!

— სად ცხოვრობს?

ბიჭმა მოპირდაპირე მხარეს გაიშვირა ხელი.

— აგერ იმ ფერდობზე თეთრსახურავიანი სახლი რომ დგას, იქ ცხოვრობს.

სამივე ორღობიდან გამოვიდა და ფერდობზე ამავალ ბილიკს აუყვა.

მიტო ეზოში დახვდათ, მზით შემჭკნარ, მოთიბულ ბალახს აბულულებდა. მოულოდნელი სტუმრები რომ დაინახა, გაკვირვებულმა ფიწალი თივაზე მიაგდო და ძეძვის ღობეზე მომდგარ ფანიანელებს შემოეგება.

— თქვენა ხართ?

— გვიცანი? — კითხვაზე კითხვითვე მიუგო ზურიკომ, თან ეზოს თვალი ქურდულად მოავლო, ვინმე ხომ არ გვიყურებსო. ეზოში ფითრით გადამწვანებული მსხლის ძირას მოხუცი დედაკაცი იჯდა, კალთაში ბავშვი ეწვა და ანანავებდა.

— გიცანით! — გაიღიმა მიტომ.

— თუ ძმა ხარ, ეზოდან გამოდი, საქმე გვაქვს! — ხმადაბლა უთხრა ზურიკომ.

მიტო გზაზე გამოვიდა. ზურიკომ მაჯაზე მოჰკიდა ხელი, გვერდზე გაიყვანა, ისიც მორჩილად მიჰყვა.

— იცი რა, მიტო, — ზურიკომ თავი მოიქექა, თითქოს სათქმელი დაავიწყდაო და გახსენება სურდა, — მერხი რატომ მოგვპარე?

მოულოდნელი კითხვა იყო და მიტომაც გაოცებისაგან წამწამები აახამხამა.

— მერხი მოვიპარე?!.

— დიახ, მოიპარე! — ზურიკოს ისევ ხელით ეჭირა მისი მაჯა და მაგრად მოუჭირა. — გგონია ისეთი ბოთეები ვიყავით ვერ მივხვდებოდით?

— რას ამბობ, ის მერხი ხომ თქვენი თანხმობით წამოვიღეთ! — შესძახა გაკვირვებულმა მიტომ.

— თქვენი თანხმობით, — გამოაჯავრა ზურიკომ, — თანხმობით იპარავენ?

— შენ შარზე ხარ? — სახე აუჭარხლდა მიტოს.

— შენ თვითონ ხარ შარზე, ქურდო! — დაუღრიალა ზურიკომ.

დავაში თემური ჩაერია.

— ნუ ყვირი, ნათქვამია, ძაღლი თავის ეზოში დიდგულიაო, მაგით ვერ შეგვაშინებ. — გააფრთხილა მან მიტო.

— გირჩევნია, დაგვიბრუნო, თორემ... ხომ ხედავ!—დაემუქრა ზურიკო მიტოს, კბილების კრაჭუნით ცხვირწინ მუშტი დაუტრიალა, მიტოს ნირი არ შეცვლია.

— ემანდ არ შემაშინო! გგონიათ ვერ მივხვდი, რაც გწადიათ? გუშინ მერხი გამომატანეთ, დღეს კი გადაიფიქრეთ, მიხვდით, რა დიდი განძი დაჰკარგეთ და ახლა უკან წაღება გინდათ არა? კიდევ რას ინებებთ, ფანიანელო მუშკეტერებო?

— მერხი გვინდა, გაიგე? მერხი, ჩალიანელო დონ კიხოტო! — არ ცხრებოდა ზურიკო და, შუაში მაკა რომ არ ჩასდგომოდათ, შეიძლება მართლაც ეთავაზებინა მიტოსათვის მუშტი.

ყოველი შემთხვევისათვის მიტომაც დამუშტა ხელები, თვალებს მოზვერივით აბრიალებდა.

— მერხი ჩვენ აღმოვაჩინეთ. ჩვენმა წითელმა კვალისმაძიებლებმა მიაგნეს!

— იქნებ ჩვენს წითელ კვალმაძიებლებსაც მიეგნოთ, გუშინ მეცამეტე გოჭივით რომ არ გამომხტარიყავი. დაგვაცალე? თანაც წუხელ ყაჩაღურად მოიპარეთ.

— წუხელო? წუხელ რა გვინდოდა? მერხი საღამოთი, ჯერ მზე არ ჩასულიყო, მაშინ წამოვიღეთ, რას მიედ-მოედები! ქვეყანამ დაგვინახა, მერხი რომ მოგვქონდა.

— ის მერხი თავში იხალე, ჩვენ მეორე მერხს გედავებით!

მიტომ ხელები გაშალა:

— დედას გეფიცებით, ვერაფერი გამიგია, იქიდან ერთი მერხის მეტი არ წამოგვიღია.

— არ ტყუიხარ? — წყნარად ჰკითხა თემურმა და თვალი თვალში გაუყარა.

— ხო დავიფიცე!? — ისე თქვა მიტომ, მის გულწრფელობაში ეჭვის შეტანა არ შეიძლებოდა.

ზურიკოს მაინც არა სჯეროდა მისი.

— თუ ალალი ბიჭი ხარ და არ ცრუობ, სად გიდგათ მერხი, გვიჩვენე.

მიტო მაშინვე დაეთანხმა.

— გიჩვენებთ, რატომაც არა, წამოდით.



მიტო წინ მიუძღოდათ და თავისი თავი ვერ დაეჯერებინა, რომ ფანიანელებს სხვა მერხი აინტერესებდათ, ეგონა, თვალთმაქცობდნენ, დაკარგულის დაბრუნება სწადდათ. ვერ მოგართვითო, — ფიქრობდა და, სანამ სკოლასთან მივიდოდნენ, თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა, რომ ვინმე დაენახა და თან წაეყოლებინა — ვინ იცის, იქნებ ფანიანელებს მანქანაც ჰყავდათ მოყვანილი მერხის წასაღებად.

რომელიღაც ეზოდან გზაზე წითელი ველოსიპედი გამოვარდა. ერთი ახმახი ბიჭი საჭეს ჩაფრენოდა, მეორე უკან შემოსჯდომოდა, მესამე კვალდაკვალ ცხენივით მოთოხარიკობდა. მიტო ბიჭებს წინ გადაუდგა.

— გააჩერეთ!

ველოსიპედისტები შეჩერდნენ.

მაკამ ზურიკოს და თემურს გადაულაპარაკა:

— ფრთხილად იყავით! მაგათ სოფელში ვართ და...

მიტომ ბიჭებს რაღაც უთხრა. ახმახმა ველოსიპედიდან გადმოალაჯა, საჭე მეორე ბიჭს ჩააბარა და ფანიანელებისკენ წამოვიდა, უკან მიტო და მესამე ბიჭიც გამოჰყვნენ.

ახმახი ახლოს მოვიდა, ხელები ჯიბეებში ჩაიწყო, ფეხები განზე გაჩაჩხა და დამცინავად დაიწყო ყურება, ჯერ თემურს მიაშტერა მწვანე თვალები, მერე ზურიკოს. მაკა შეხედვის ღირსადაც არ ცნო.

— რა გინდათ?

— მერხი! — მოკლედ მოუჭრა ზურიკომ.

ახმახი ზურიკოს წინ აისვეტა და, თითქოს მზემ შემოუჭვრიტინაო, თვალები მოჭუტა.

— იცი რას გეტყვი, აქედან წადით! სანამ ლამაზები ხართ, თორემ... ერთი ამათ უყურე, გვნახა რა დედას ბიჭები!

თემური ზურიკოს გვერდში ამოუდგა.

— არც ჩვენა ვართ დედას ბიჭები!

— ეს ვინღაა, ბიჭო, გაიწი იქით... — ახმახმა თითებგაფარჩხული ორივე ხელი მაღლა შემართა, — ჰა, მოვიდეს?

არც თემურს შესცვლია ნირი, არც ზურიკოს. თემურმა საოცარი სიმშვიდით ააყოლა თვალი ახმახის გამხდარ, მზემოკიდებულ ხელებს და თქვა:

— ნუ იმუქრები, შენს სოფელში რომ ხარ, მაგით ვერ შეგვაშინებ. ისა სჯობს, მოვილაპარაკოთ.

ველოსიპედთან დარჩენილმა ღობეზე მიაყუდა ველოსიპედი და ისიც საჩხუბრად გაემზადა. მიტოს დამცინავი ღიმილი ეფინა სახეზე. გოგონას უცებ შესძაგდა ეს ბიჭი.

— მხდალი! — კბილებში გამოსცრა.

სილა რომ ეტკიცნათ, ის ერჩია მიტოს. დამცინავი ღიმილი გაუქრა. მაკას გაცოფებულმა გამოხედა — ვახ, რატომ ბიჭი არ არის, ძვირად დავუსვამდი ამ ერთ სიტყვასო. სხვა რომ ვერაფერი მოახერხა, ვინა, მეო? იკითხა ბოღმამორეულმა და თვალები დააკვესა.

— დიახ, შენ! — არ დააგვიანა პასუხი მაკამ.

— უმათოდაც შემიძლია! — მიტომ ახმახი ხელისკვრით უკან დასწია.

— მაშ რატომ დაუძახე მაგათ. აკი მერხს გიჩვენებთო? რატომ არ გვიჩვენე თუ მართალი ხარ?

მიტოს შერცხვა, მართლა მშიშარას შთაბეჭდილებას ტოვებდა. კარგი, წამოდითო, წაიბურდღუნა და ფანიანელებს სკოლის ეზოსკენ გაუძღვა, უკან ველოსიპედისტი ბიჭებიც მიჰყვნენ.

საკლასო ოთახში, რომელსაც წითელი საღებავით მეექვსე კლასი ეწერა, სწორედ ის მერხი აღმოჩნდა, ჩალიანელებს რომ გაატანეს. მერხი კუთხეში იდგა, ზედ საწერ-კალამი იდო. ზემოთ, კედელზე გმირის გადიდებული, შავ ჩარჩოში ჩასმული სურათი ეკიდა.

— ეს ის მერხი არ არის — თქვა დაღონებულმა მაკამ:

ზურიკომ მერხის კალთა გადასწია, თავისი ხელით ამოჭრილი ინიციალები იცნო და ტუჩები ჩაიკვნიტა, საკლასო ოთახი მოათვალიერა; აქ სამ რიგად იდგა ახალმოდური მერხები, სხვა ძველი მერხის ჭაჭანება არ იყო.

მიტო უყურებდა ფანიანელებს, მათ დაღონებულ სახეებს და დარწმუნდა, რომ ისინი ნამდვილად სხვა მერხს ეძებდნენ.

— თქვენგან ამის მეტი მერხი არ წამოგვიღია. გამაგებინეთ ერთი, განა გმირის მეორე მერხიც აღმოჩნდა?

ზურიკომ იფიქრა, მერხი დაიკარგა, მიკიბულ-მოკიბულს სჯობს სიმართლე ვთქვაო. ძლივს გასაგონად ამოღერღა:

— ნამდვილი მერხი დაიკარგა!

— აბა, ეს რა არის? — პირი დააღო მიტომ.

ზურიკო მოუყვა, როგორ შეუცვალეს მერხი.

მიტო ფეთიანივით ეცა მერხს, ინიციალებს დახედა და სინანულით თავი გადააქნია.

— მართალია, ეს ის არ არის. აკი გამიკვირდა კიდეც, გუშინ იოლად რომ დამითმეთ. მე რომ თქვენს ადგილას ვყოფილიყავი, მეც ასე მოვიქცეოდი, თითსაც არ დაგაწებინებდით. ეხ, რაც არის-არის, ეს მერხი მაინც ძვირფასი იქნება ჩვენთვის.

დასასრული შემდეგ ნომერში



ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი № 10

# ვითომ პატარა ამბავია?

„პიონერის“ მერვე ნომერში ინტერესით წავიკითხე სარედაქციო წერილი „ამხანაგმა დააშავა... რა იღონე შენ?“.

მართლაც, რა ხშირად წავუყრუებთ ხოლმე სხვის დანაშაულს, განსაკუთრებით მაშინ, თუ ეს დანაშაული უშუალოდ ჩვენ არ გვეხება და ვერაფერს გვავნებს. „სხვისი ჭირი — ღობის ჩხირიო“, — ვიტყვით და აუღელვებლად განვაგრძობთ გზას.

სამწუხაროდ, ეს ინერტულობა და წაყრუება სკოლასაც ახასიათებს და ზოგჯერ ამას სავალალო შედეგიც მოსდევს ხოლმე. სხვათა შორის, სკოლაში ხშირად ძნელდება ჩვეულებრივი ბავშვური ცელქობის და დანაშაულის ერთმანეთისგან განცალკევება და მეტწილად აქ იმალება იმის საშიშროება, რომ შესაძლოა მოჭარბებულმა ლმობიერებამ და ნიადაგ „თავზე ხელის გადასმამ“ მოზარდს სავსებით დაუჩლუნგოს საკუთარი საქციელის კონტროლის გრძნობა.

მართალია: დანაშაული წვრილმანით იწყება... ვინმე აუცილებლად ხედავს, როცა ესა თუ ის მოსწავლე მერხზე კალმით თავის სახელს აჩხაპნის, მაგრამ დუმს, ვინაიდან ფიქრობს: „რა დიდი ამბავია, ამით ქვეყანა არ დაიქცევაო“, და იქნებ გვერდით საკუთარი ინიციალებიც კი მიაჩხაპნოს. ვითომ პატარა ამბავია?... კიდევ მეტი, მეორე დღეს ასეთი მოსწავლე, იმის ნაცვლად, რომ ამხანაგი გაამტყუნოს, ფანჯრის მინის ჩამტვრევაზეც დახუჭავს თვალს. ის ონავარი კი გათამამდება და ჩამტვრეულ მინას მერხსაც მიაყოლებს. არა და, გვერდით მჯდომს თავიდანვე რომ შეეჩერებინა, იქნებ გულში ჩაეხედა და გაფრთხილებოდა სკოლის ქონებას...

მე პენსიონერი გახლავართ და ხშირად ჩემს პაწია შვილიშვილს დავასეირნებ ერთ მყუდრო და დაჩრდილულ ბაღში. იმ დღესაც ამოჩემებულ ადგილას ვიჯექი, იქვე ჩემი თაკო თამაშობდა. სექტემბერი იდგა, სწავლა ორიოდე კვირის დაწყებული იყო. შორიახლო ძელსკამზე სამი მოზარდი იჯდა და გაცხოველებით რაღაც ამბებს უყვებოდა ერთიმეორეს. ერთი ბიჭუნა განსაკუთრებით ხმამაღლა ლაპარაკობდა და ჩემი ყურადღება სწორედ მისმა ნაამბობმა მიიქცია:

— ...დავავლე, ბიჭო, ხელი ამ ყვავს, ჩანთიდან წიგნები ამოვყარე, ყვავს შიგ ვუკარი თავი და კარი გამოვიხურე...

— სკოლაში წაიყვანე? — აღტაცება ვერ დამალა ერთ-ერთმა მსმენელმა.

— მეტიც არ ვქენი? მოიცა, მომისმინე... შუა გაკვეთილზე ამოვაძვრინე ეს ჩემი ყვანჩალა ჩანთიდან და იატაკზე დავსვი. როგორ გგონიათ, შეშინდა? შეშინდა კი არა, დინჯი ნაბიჯით წავიდა, მასწავლებლის მაგიდას ყინჩად ჩაუარა და დაფასთან შეჩერდა...

— რაო, გაკვეთილის მოყოლა მოინდომა?.. ვაჰ, რა სურათი იქნებოდა?! — სიცილით იჭაჭებოდნენ მსმენელები.

— უჰ, იმდენი ვიცინეთ, იმდენი...

მე კი არ მეცინებოდა. იმ ორ ყმაწვილთაგან (სამივეს პიონერული ყელსახვევი ეკეთა) არც ერთმა არ დაუძრახა საქციელი მთხრობელს, პირიქით, მხარი აუბეს, მოუწონეს კიდეც. ეჭვი არ მეპარება, რომ იმ ბიჭის თანაკლასელებმაც იცოდნენ ამხანაგის განზრახვა, მაგრამ ხელის შეშლა არავის უცდია... ჰოდა, ბრიყვულმა ლაზღანდარობამ გაკვეთილი ჩაშალა.

ხომ არის ეს დანაშაული? დიახ, ჩემი აზრით, არის. იგი დანაშაულია არა მარტო ამხანაგების, მასწავლებლისა და მშობლების, არამედ სახელმწიფოს წინაშეც. არა და, ხსენებული ონავრის ახლო მეგობრის ერთ ადამიანურ, თბილ, მაგრამ კატეგორიულ სიტყვას სულ უმტკივნეულოდ შეეძლო ამ დანაშაულის აღკვეთა და ყვავისთვისაც კუთვნილი ადგილის მიჩენა ბიოლოგიის კაბინეტში.

მე არ ვიცი, რა იღონეს სკოლამ და პიონერულმა ორგანიზაციამ, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ბაღში ნანახი ბიჭი დასჯილს არამც და არამც არ ჰგავდა... იგი უფრო რაინდად გრძნობდა თავს. ეს კი ძალზე დამაფიქრებელ ფაქტად მეჩვენება.

ელისაბედ რაზმაძე
პენსიონერი
ქ. ქუთაისი

# ამიერიდან ჩვენთან იქნება

წავიკითხე წერილი „ამხანაგმა დააშავა... რა იღონე შენ?“ და მაშინვე ერთი ამბავი გამახსენდა.

მე მეექვსე კლასში ვსწავლობ. კლასში ბევრი კარგი ამხანაგი მყავს. ზოგიერთი საკმაოდ ცელქი და მოუსვენარიც არის, ხან რას მოიგონებენ და ხან — რას, მაგრამ მათი ყოველი ცელქობა უწყინარია და მე რომ მკითხონ, ვერც ერთ მათგანს დანაშაულს ვერ დავარქმევდი.

ჩემი სკოლა ხევგაღმაა, მე კი გამოღმა ვცხოვრობ დიდ, რვასართულიან სახლში. აქაც ბევრი მეგობარი მყავს, ერთად ვთამაშობთ ხოლმე ფეხბურთს, ბადმინტონს, ლახტს, დაჭერობანას. შეხმატკბილებული ვართ ერთმანეთთან და, რაც მთავარია, არავის არაფერს ვუშავებთ.

ამ ზაფხულს ჩვენს ამქარს ერთი ბიჭი შემოემატა. აქვე ვცხოვრობ, ორი კორპუსის იქითო, — გვითხრა, — ჩემი მეზობლები სულ დასასვენებლად გაიკრიფნენ და მარტოკა დავრჩიო.

გაგვიხარდა კიდეც. კარგი ბიჭი ჩანდა და შევიხმატკბილეთ.

ერთ დილით მოვიდა და გვეუბნება:

— არ მოგწყინდათ სულ ერთი და იგივე? მოდით, „სტენკა“ ვითამაშოთ.

ჩვენ მხრები ავიჩეჩეთ.

— არ იცით? — გაიცინა და ჯიბეზე ხელი გაივლო.

თურმე ხურდა ფულით თამაში არ ყოფილა? დიდხანს გვიხსნიდა, პრაქტიკულად გვიჩვენა კიდეც.

ბიჭებს გადავხედე. ისინიც უსიტყვოდ, წარბშეკრულნი იდგნენ. ბევრი აღარ მიფიქრია:

— მიხო, — ვუთხარი, — გინდა ჩვენთან ამხანაგობა და თამაში? პირდაპირ თქვი!

— აბა რისთვის მოვედი? — გაიკვირვა.

— მაშინ, თუ ეს მართლა ასეა, მოდი, საერთოდ დაივიწყე ეგ შენი „სტენკა“ და რასაც აქამდე ვთამაშობდით, ის ვითამაშოთ ხოლმე. თუ არა და...

მიხვდა, რის თქმასაც ვაპირებდი. ფერი დაეკარგა. სათითაოდ შეგვათვალიერა, შებრუნდა და წავიდა, ხმა არ ამოუღია.

თამაშის ხალისი დაგვეკარგა და დავიშალეთ.

მაგრამ მეორე დღეს ისევ მოვიდა ჩვენთან. ფეხბურთს ვთამაშობდით, ხვითქი გადაგვდიოდა. მოვიდა, მხარზე ხელი დამადო, თვალებში ჩამხედა, გამიცინა, მერე გაიქცა და კარებში ჩადგა:

— აბა, დამირტყით, თუ ბიჭები ხართ!..

მაშინ ვირწმუნე და დღესაც მჯერა — მიხო ამიერიდან სულ ჩვენთან იქნება-მეთქი...

**მამუკა კიწმარიშვილი,**

**თბილისის 142-ე საშუალო სკოლა, VI კლასი.**

## ჩვენი ხელმძღვანელი

უკვე მეორე წელია, ჩვენთან შეფ ხელმძღვანელად მუშაობს ჩვენივე სკოლის კურსდამთავრებული — მოწინავე მეჩაიე ცისანა ცაავა. მისმა მოსვლამ რაზმის პიონერული საქმიანობა უფრო მრავალფეროვანი და შინაარსიანი გახადა.

ჩვენი რაზმი მარჯვენაფლანგელია, სწავლაში არავის უჭირს, მაგრამ ცისანა ხელმძღვანელი გვირჩევს გავზარდოთ ოთხოსანთა და ხუთოსანთა რიცხვი. კომკავშირის მე-60 წლისთავისათვის ჩვენი ყველაზე ძვირფასი საჩუქარი ხომ ფრიადზე სწავლა იქნება! ძალიან მოგვწონს მარშრუტი „ცოდნის სამყაროში“, რადგანაც ცოდნა ყველაზე ძვირფასი განძია.

ჩვენი რაზმის პიონერები შრომისმოყვარენიც არიან. ხშირად ვეწვევით ხოლმე ხელმძღვანელს პლანტაციაში, ვეხმარებით ჩაის კრეფაში, ხალისით ვუსრულებთ ყველა დავალებას. ჩვენი რაზმი მეცხოველეობის ფერმასაც შეფობს.

არაერთი საინტერესო ღონისძიება ჩატარდა ცისანა ხელმძღვანელის ინიციატივით. შევისწავლეთ სოფლის წარსული და აწმყო. ძალიან გვიხარია, როცა ექსკურსიის თუ ლაშქრობის დროს ის ჩვენს შორისაა: მშობლიური მხარის გაცნობის მიზნით მან შემოგვთავაზა, ზაფხულის პერიოდში ჩამოგვეყალიბებინა ნორჩ მხარეთმცოდნეთა წრე, რომელიც შემდეგში გავაერთიანეთ ისტორიისა და კულტურის ძეგლების ნორჩ მეგობართა რაზმში.

ცისანა ხელმძღვანელს ძალიან უყვარს სპორტი და ეს კიდევ უფრო გვაახლოებს მასთან. თითქმის ყველა სპორტულ შეჯიბრებას, რომელიც რაზმებს შორის თუ მეზობელი სკოლების თანატოლებთან იმართება, ის თაოსნობს და მეთაურობს.

ცისანა ხელმძღვანელთან ერთად ხშირად დავდივართ ბიბლიოთეკაში, სადაც მეორე რაზმის შეფი ხელმძღვანელი ციცო ბასილაია მუშაობს. ბიბლიოთეკაში სიცოცხლე გავუხანგრძლივეთ 120 წიგნს. მოვაწყვეთ შეხვედრა შრომის მოწინავეებთან. წარმოვადგინეთ მუსიკალური კომპოზიცია „სწავლისა და შრომის საგალობელი“.

ვერ აგიწერთ, როგორ გაგვახარა იმ ამბავმა, რომ ჩვენი რაზმის ხელმძღვანელი წელს პუშკინის სახ. პედაგოგიურ ინსტიტუტში დაუსწრებელ განყოფილებაზე ჩაირიცხა. ყველაზე პირველად ჩვენ მივულოცეთ ცისანა ხელმძღვანელს ეს წარმატება.

**ეკა ნორაკიძე,**

**გეგეჭკორის რაიონის სალხინოს სანატორიული სკოლა-ინტერნატი, №1 რაზმის პიონერი.**

## ჩვენი შემოქმედება

### აი, მაშინ არ ხარ კაცი!

როცა გეშინია — სიმართლეს
პირდაპირ შეხედო თვალებში,
როდესაც დაგაფრთხობს სიძნელე
და გულში შიშს გაქვს თარეში,
როცა შენი ციცქნა საქმისთვის
სხვათა მზიან სახლებს ანგრევ,
სხვის უბედურებაზე როცა
შენს ბედნიერებას აგებ, —
აი, მაშინ არ ხარ კაცი!

### საღამო

კვლავ მტრედისფრად
ალივლივდა
ზეცა ნახანძრალი,
მხოლოდ ზღვაზე ათინათობს
მეწამული ალი;
ბინდი ჩუმად, ფეხაკრეფით
ეპარება ჭალებს
და მიდამო ნელა ხუჭავს
ძილმორეულ თვალებს.

**მზია მაღრაძე,**

**ასპინძის რაიონის ოშორის საშუალო სკოლა, X კლასი.**



**ჩვენი ქუჩა. ლელა ხუნდაძე,**

**თბილისის 23-ე საშუალო სკოლა, VI კლასი.**

# ახალი წიგნები

ჯურხა ნადირაძე

## ადამიანი და პირამიდა

ხანგრძლივი ისტორიის მქონე ქვეყნის შორეულ წარსულს, რომელიც ბურუსითაა მოცული, ხშირად ნათელს ჰფენს ხოლმე არქეოლოგიური აღმოჩენა — მიწის სიღრმეში ჩამარხული ამა თუ იმ ნივთის თუ ძეგლის გამომზეურება.

მწერალი და არქეოლოგი ჯურხა ნადირაძე დიდი ხანია თხრის ქართულ მიწას და სამზეოზე ამოაქვს ერის მატერიალური ძეგლები. თავისი მუშაობის შედეგებს იგი აქვეყნებს ქართულსა და საკავშირო ჟურნალ-გაზეთებში, სამეცნიერო გამოცემებში და ცალკე წიგნებადაც.

სულ ახლახან კი „ნაკადულმა“ თქვენთვის გამოსცა ჯ. ნადირაძის ახალი წიგნი — „ადამიანი და პირამიდა“. მასში სადა და გასაგები ენით მოთხრობილია ათასწლეულების წინათ შექმნილ ძველეგვიპტურ კულტურასა და ხელოვნებაზე. თქვენ გაეცნობით მწერლისა და მეცნიერის თვალით დანახულ მსოფლიოს უძველეს ნაგებობას ჯოსერის გრანდიოზულ პირამიდას, რომელიც ოთხი ათას რვაასი წლის წინათ შეიქმნა, ფარაონ ხეოფსის პირამიდას, რომელიც ოთხი ათასი წლის მანძილზე დედამიწის უმაღლესი ნაგებობა იყო (146 მ); ინტერესით წაიკითხავთ ცალკეულ ფარაონთა სარკოფაგების აღმოჩენის ისტორიას, დატკბებით წიგნის მდიდრული ილუსტრაციების ხილვით — აქ ასახულია არა მარტო პირამიდები, არამედ საკულტო ტაძრები, მათ კედლებზე დახატული ფრესკები და ცალკეული სკულპტურები — მსოფლიო ხელოვნების შედევრები — ფარაონ ეხნატონის, დედოფალ ნეფერტიტის, ტუტანხამონის ქანდაკებები... ერთი სიტყვით, თქვენს წინაშეა ძველისძველ საოცრებათა საინტერესო სამყარო. მაშ, როგორც წიგნის წინასიტყვაობაშია ნათქვამი, „შეაბიჯეთ ამ სამყაროში; იოცნებეთ და ეზიარეთ მას, ეზიარეთ გულით და გონებით—ეზიარეთ წიგნებით—ამ წიგნითაც! — და ვინ იცის, დროით, იქნებ თავადაც დაწეროთ მასზე მშვენიერი წიგნები“.






### 600 მილიონი კატა

რამდენი კატაა ჩვენს პლანეტაზე? ცხადია, სტატისტიკური ორგანიზაციები ასეთი კითხვით არ დაინტერესებულან, მაგრამ იუნესკოს ერთ-ერთ კომისიაში სცადეს გამოეთვალათ ამ ცხოველის რაოდენობა. აღმოჩნდა, რომ დედამიწის ზურგზე 600 მილიონი კატა ცხოვრობს, ოღონდ ამ რიცხვში მხოლოდ შინაური კატები შედიან, უპატრონო და ველური კატების რაოდენობა ალბათ უფრო მეტია.

### გაქრება თუ არა მყინვარები?

არა, არ გაქრება,—ამტკიცებენ მეცნიერები. თუმცა ბევრს ტყუილად როდი აწუხებს მათი ბედი — ისინი ხომ მტკნარი წყლის უზარმაზარ ბუნებრივ საცავებს წარმოადგენენ და მსოფლიოს მრავალ დიდ მდინარეს კვებავენ. ჰოდა, უკანასკნელ ათწლეულში გლეტჩერებმა სწრაფად იწყეს დნობა. თუ ასე გაგრძელდა, მდინარეები, რომლებიც მყინვარების ნაყური წყლით იკვებებიან, დაიწრიტებიან და დედამიწის ჰავაც შეიცვლება. მაგრამ, საბედნიეროდ, ამ ბოლო წლებში მყინვარების „ცხოვრებაში“ საწინააღმდეგო მოვლენები შეიმჩნევა. მათი დნობის სიჩქარე მცირდება და მთებში თოვლისა და ყინულის მარაგი გაუსწრებს გლეტჩერების დაპატარავებას.

### რამდენს იწონის კალიების გუნდი?

მაროკოში რადარისა და ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანის საშუალებით გამოიანგარიშეს კალიების გუნდის წონა. იგი 60 ათას ტონაზე მეტი აღმოჩნდა... დაადგინეს, რომ კალიების გუნდი, რომელმაც 1946 წელს ამავე ადგილებს გადაუფრინა, 500 ათას ტონას იწონიდა, ხოლო მისი ჩრდილი რამდენიმე ათეულ კვადრატულ კილომეტრს ფარავდა.

### „გველრობოტი“

შხამიანი გველები ამჟამად დიდ პატივში არიან. მათ იყენებენ საიუველირო მაღაზიების მფლობელები ძვირფასეულობის დარაჯებად. დასავლეთში ავტომობილების პატრონები მანქანის სავარძელზე ტოვებენ გველს, რითაც მძარცველებს აფრთხობენ.

ამ ბოლო ხანს წინადადება წამოაყენეს, შხამიანი ქვემძრომი მიწის ნაკვეთების ყარაულად გამოვიყენოთო. ეს იდეა თუ განხორციელდა, გველები ყველას არ ეყოფა. ამიტომაც ერთმა ამერიკელმა, სტივენ უნიკვორსმა შექმნა მექანიკური გველი-ავტომატი. ვეება ურჩხული მინის ბოჭკოსაგან არის დამზადებული და ისეა შეღებილი, რომ თითქმის ვერ გაარჩევ სათვალიანი გველისაგან. „გველრობოტს“ შეუძლია ცურვა, ყვინთვა, საჭიროებისდა მიხედვით იცვლის მიმართულებას, სისწრაფეს. მძარცველებს ამ მექანიკური უხსენებლისა ჯერჯერობით ვერა გაუგიათ რა, რის გამოც უნიკვორსის ნახელავს ბევრი მუშტარი ჰყავს.

### წითელ წიგნში მოხვდნენ

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მდინარეებისა და ტბების გაჭუჭყიანებამ დასაშვებ ნორმას გადააჭარბა. მეცნიერებმა წითელ წიგნში შეიტანეს 490 სახეობის ცხოველი, რომლებსაც ამ ქვეყნის ტერიტორიაზე სრული გადაშენება მოელით. ასევე დღეშია წყალსაცავების ნაპირებზე მობინადრე ფრინველთა 42 სახეობა. რაც შეეხება თევზებს, 130 სახეობიდან 40 პროცენტი დასაღუპავად არის განწირული.

### ტერმიტების შემოსევა

იტალიის ქალაქ უდინეს ცენტრს, რომელიც რამდენიმე ხნის წინათ მიწისძვრისაგან დაზარალდა, კვლავ სერიოზული საფრთხე ემუქრება. ქალაქის ცენტრალურ ქუჩებზე აშენებული ძველი სახლების უმეტესობა ტერმიტების მასობრივი შემოსევის ობიექტია. მილიონობით მწერი ულმობლად ანადგურებს ყველაფერს, რაც კი ხისაგან არის გაკეთებული, ბევრი შენობა დანგრევის პირამდეა მისული. ტერმიტებთან ბრძოლას ართულებს ის გარემოება, რომ მათზე არც ერთი ქიმიური ნივთიერება არ მოქმედებს.

არსებობს ერთადერთი საშუალება — ძველი ხის ნაკეთობები უნდა დაიწვას და ახლით შეიცვალოს, რომელსაც ეს მწერები „ხელს არ ახლებენ“.



# შემოდგომა

ავთანდილ მეგრელიშვილი

•

რა მოგვაწყენს
ბიჭებს, კაცებს?
ვრეცხავთ ქვევრებს,
ვრეცხავთ კასრებს.
თხილის წნელი
მოაქვს გოდებს.
წნავს ბაბუა
გიდლებს, გოდრებს...
უსაქმურად
ვერც მე მნახავთ:
საწნახელის
ვრეცხავ ხახას.
ცას გასცქერის
ბებო ნატო,
სახვალიოდ



ამინდს ნატრობს.
დედა ქართულ
ლავაშს აცხობს...
იქვე ჭრელი
ციცა ანცობს...
დიდი რთველი
გვაქვს ხვალ დილით.
აღარ გვახსოვს
არცერთს ძილი...



•

ტკბილი ლეღვი, ბროწეული
ლალის ბაგეს აჩენს.
უკეთესი რომელია,
თვალი ვეღარ არჩევს.
კოხტაობენ, კეკლუცობენ
ატამი და ვაშლი...
ალისფერი მოსდებია
ზვრებს და ბაღებს გაშლილს.

ბროლის კბილებს აელვარებს,
ეღიმება ტაროს...
სიხარული ეუფლება
მამულს სანეტაროს.
სიამაყით უძგერს გული
მშრომელს — ალალ-მართალს
და ქართული შემოდგომა
სართვლო მეჯლისს მართავს!

•

დაუკრეფიათ ხეხილი,
დანაღვლიანდნენ ბაღები.
გონგორაც არსად შემორჩა,
აღარ მოდიან ბალღები...
აღარ გაისმის იმათი
ყიჟინი ყურისწამღები.
დგანან და ზამთარს ელიან
უხვი მოსავლის ამღებნი.

# გავეშუროთ ზვრებში

ბიქტორ ლეჟავა

ლაღად შემობრძანდა
ბაღებსა და ზვრებში,
შემოდგომის შნო და
შემოდგომის ეშხი.

დგას და ოქროს ზეწარს
აფენს მინდორ-ველებს.

ტკბილი ცრემლი სცვივათ
დაშაქრებულ მტევნებს.

გავეშუროთ ზვრებში,
ჰერი, ბიჭო, ჰერი...
ზღვა დოვლათით სავსე
შემოდგომა მღერის.



# ჭადრაკი

განყოფილებას
ხელმძღვანელობს
საქართველოს სსრ
დამსახურებული
მწვრთნელი
შოთა ინწკირველი

## სტრატეგიული და ტაქტიკური იდეების მემკვიდრეობითობა

(კონკრეტული თამაში დებიუტში. ინიციატივა)

ქვემოთ განხილულ პარტიებში, გარდა სტრატეგიისა, ანატომიური მსგავსებაც შეიმჩნევა.

კერეს-ბოტვინიკის პარტია გათამაშდა მატჩ-ტურნირში სსრკ აბსოლუტურ ჩემპიონობაზე, ხოლო ბლაგიძე-ლომაიასი — საქართველოს ჩემპიონატში.

ორივე პარტია ზედმიწევნით სასწავლოა ნებისმიერი კვალიფიკაციის მოჭადრაკისათვის.

ჩვენი სურვილია, შემსწავლელს პარალელის გავლებისშედარების ჩვევა გამოუმუშავდეს.

თეიმურაზ ლომაიას შესანიშნავ პარტიაში შემსწავლელი დაინახავს ბოტვინიკის პარტიის კეთილისმყოფელ გავლენას, რაც, ჩვენი აზრით, აგრეთვე გამოიხატება, თუ შეიძლება ითქვას, შემოქმედებით სითამამეში.

გვახსოვდეს: მემკვიდრეობა არ ავურიოთ ეპიგონობაში, „გადამღერებაში".

შემსწავლელი „სესხების სტადიაში" შესაძლოა რამდენადმე ეპიგონიც იყოს (ამისი ნუ შეგვეშინდება!) და ვინმეს გავლენას განიცდიდეს. ბოლოს და ბოლოს ყოველი აღზრდა ხომ ერთი პიროვნების მეორეზე ზეგავლენით ხორციელდება.

ბოტვინიკის პარტიასაც ჰყავდა წინამორბედები (მიკენასი-ბოტვინიკი, 1940 წ. და ბელავენეცი-სიმაგინი, 1941 წ.). კაბინეტურ სიმყუდროვეში სკრუპულოზური ანალიზის შედეგად ბოტვინიკმა მიაგნო ჭეშმარიტებას, „საჭადრაკო სიმართლეს" — თეთრების ნაადრევი აქტიურობის უარყოფას.

ერუდირებული ოსტატის ლომაიას მახსოვრობაში,ცხადია, ფიქსირებული იყო ყოველივე ეს, რამაც უდავოდ ხელი შეუწყო ასეთი ნაწარმოების შექმნაში. ჩვენი აზრით, ამაშია საჭადრაკო დიალექტიკა.

დიდოსტატი ა. კოტოვი, ახასიათებს რა ბოტვინიკს, ასკვნის: „თუ ყველაფერს ერთი სიტყვით გამოვხატავთ, მაშინ შეიძლება ვთქვათ. რომ ახალია — მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ო ბ ა.

პარტია № 4

ნიმცოვიჩის დაცვა
ლენინგრადი, 1941 წ.
თეთრები: პ. კერესი
(დიდოსტატი, ტალინი)
შავები: მ. ბოტვინიკი
(დიდოსტატი, ლენინგრადი)

გამარჯვების გზა ინიციატივაზე გადის!

„ინიციატივა ნიშნავს დროსა და აქტიურობას და ამიტომ წარმოადგენს უპირატესობას" (კაპაბლანკა). მართლაც, ინიციატივისა და შეტევის განვითარებაში „საჭადრაკო დრო" პირველხარისხოვან როლს თამაშობს.

1.d4 მf6 2.c4 e6 3.მc3 კb4.

ნიმცოვიჩის დაცვის, როგორც ყველა თანამედროვე დასაწყისის, იდეაა, ფიგურათა და პაიკთა ერთობლივი

# პატარა პიონერის ენციკლოპედია

## პიონერული ჯილდოები

### ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო პიონერული ორგანიზაციის საპატიო წიგნი

ინახება მოსკოვში, კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში. ამ წიგნში შეაქვთ პიონერები, რომლებმაც სამშობლოს სადიდებლად საგმირო, სასახელო საქმე მოიმოქმედეს.

საპატიო წიგნში შეაქვთ აგრეთვე საუკეთესო რაზმები, რაზმეულები, რაიონული, საქალაქო პიონერული ორგანიზაციები სწავლაში, საზოგადოებრივ საქმიანობაში, შრომასა და სპორტში წარმატებისათვის.

საპატიო წიგნში მოხვედრა დიდზე დიდი ჯილდოა ყოველი საბჭოთა პიონერისათვის.

ეს წიგნი 1955 წელს შემოიღეს. პირველ გვერდზე ჩაიწერა გმირი პიონერების სახელები, ესენი არიან: პავლიკ მოროზოვი, კოლია მიტიატინი, ლიონია გოლიკოვი, ვალოდია დუბინინი, ვალია კოტიკი, ვიტია კორობკოვი, მარატ კაზეი, კოლია ზვერევი, ვალოდია პავლოვი, ვიტია ხომენკო, შურა კუბერა.

1961 წელს საპატიო წიგნში შეიტანეს ჩვენი სახელოვანი კოსმონავტის, ყოფილი პიონერის — იური გაგარინის სახელი.

### სიგელი

ბევრნაირი არსებობს. პიონერისათვის ყველაზე საპატიოა კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელი; სიგელებით პიონერებს აჯილდოებს ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის ცენტრალური საბჭო; არსებობს კომკავშირის კომიტეტის, პიონერული ჟურნალ-გაზეთების სიგელები, სპორტულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა სიგელები.

სიგელებით აჯილდოებენ როგორც ცალკეულ პიონერებს, ისე პიონერულ ორგანიზაციებს სწავლაში, შრომაში, სპორტში წარმატებისათვის, გულადობისა და კეთილშობილური საქციელისათვის.

### დიპლომი

გადაეცემა ტექნიკურ თუ მხატვრულ შემოქმედებაში, სპორტულ შეჯიბრებაში, ოლიმპიადებში წარმატებისათვის. სიგელის მსგავსად დიპლომიც გადაეცემა როგორც ცალკეულ პიონერებს, ისე პიონერულ ორგანიზაციებს, რაზმეულს, რაზმს...

### ვიმპელი

გადაეცემა პიონერულ რაზმეულს, რაზმს, რგოლს შრომასა და სპორტში თავის გამოჩენისათვის. ვიმპელი შეიძლება იყოს სამახსოვრო და გარდამავალი. ვიმპელს აწესებს პიონერული ორგანიზაციის საბჭო, საშეფო კომკავშირის კომიტეტი და სხვ.

### მადლობა

თავისებური წამახალისებელი ჯილდოა. იგი გამოაქვს რაზმის საბჭოს ან რაზმეულის საბჭოს და პიონერულ შეკრებაზე ცხადდება საზეიმოდ. საუკეთესო პიონერებს მადლობის ნიშნად სურათს უღებენ გაშლილ პიონერულ ალამთან.

### სამკერდე ნიშანი — „აქტიური მუშაობისათვის“

მაღალი ჯილდოა იმ პიონერებისათვის, ვინც თავი გამოიჩინა პიონერული მარშის მარშრუტებში. ამ სამკერდე ნიშნით დაჯილდოებულ ათასობით პიონერებს შორის არიან, მაგალითად: საბჭოთა მოციგურავე, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ლენა ვოდორეზოვა და მესამეკლასელი ვალოდია სემიონოვი, რომელმაც ცეცხლმოდებული თავლიდან კოლმეურნეობის ცხენები გამოიყვანა.

ასე რომ, ჩვენო პატარა მეგობრებო, ყოველმხრივ უნდა ეცადოთ, მთელი ძალ-ღონე და მეცადინეობა ისე წარმართოთ, რომ თქვენი გაკეთებული საქმე რომელიმე პიონერული ჯილდოს ღირსი გახდეს.

---

ზემოქმედება თეთრების ცენტრზე.

4.ლc2 d5 5.cd ed 6.კg5 h6 7.კh4 c5 8.0-0-0?

„ამ თითქოსდა ძლიერ სვლას პარტია წაგებისაკენ მიჰყავს“ (ბრჭყალებში შემოკლებით მოგვყავს ბოტვინიკის ზედმიწევნით სასწავლო კომენტარები. პარტიაში კითხვითი და ძახილის ნიშნები ჩვენი დასმულია).

ზემოაღნიშნულ პარტიაში მიკენასთან ბოტვინიკმა უპასუხა 8... 0-0, მიიღო უარესი პოზიცია და დამარცხდა. ამჯერად ბოტვინიკი არ კარგავს დროს როქის გაკეთებაზე და იწყებს აქტიურ მოქმედებას. საფუძველი: 1. მოწინააღმდეგის მეფის ფრთის განუვითარებლობა და 2. ხაზის გახსნის შესაძლებლობა, რაც მეფეზე ძლიერი შეტევის საწინდარია.

8... კ:c3!

„c3 მხედარი №1 მტერია, ის უნდა მოისპოს, რომ გაინადგურდ ცენტრალური უჯრები და გახსნა c ხაზი“.

9.ლ:c3 g5!

„საჭირო იყო c3 მხედრის მოსპობა, ხოლო f6 მხედარი უნდა შევინარჩუნოთ ცენტრალური უჯრების დასაცავად. პაიკთა პოზიციის დასუსტებას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. მოვლენები ისეთი სისწრაფით ვითარდებიან, რომ წინა პლანზე გამოდის დრო. თეთრების მეფის ფლანგზე მყოფი ფიგურები ვერ ასწრებენ თავისი მეფის საშველად მოსვლას“.

10. კg3 cd! 11.ლ:d4 მc6 12.ლa4 კf5.



„შავები ასრულებენ დასახულ გეგმას — დიაგონალი b1—h7 დაკავებულია. ახლა დასაკავებელი დარჩა c ხაზი“. კერესს ბრძოლა სტრატეგიულად უკვე წაგებული აქვს!

13.e3 ეc8 14.კd3 ლd7!

გახსნილი ქიშის მუქარით. თუ ახლა 15.კ:f5?, მაშინ 15... მb4+! ამიტომ იძულებითია

15.მფb1.

მაგრამ ახლა...

15... კ:d3 16.ე:d3 ლf5.

„ამ დაბმისაგან დახსნა მხოლოდ მატერიალური ზარალით შეიძლება“.

17.e4.

თუ 17.ლb3? მაშინ 17... მb4.

17... მ:e4 18.მფa1 0-0.

„18... მc5 მოჰყვებოდა მხსნელი ქიში — 19.ეe3f“.

19.ეd1 b5!

პაიკის შეწირვით თეთრები იგებენ ტემპს გადამწყვეტი შეტევისათვის.

„აგვირგვინებს შეტევას. შავი მხედარი d4 უჯრას ლებულობს, რაც მყისვე იწვევს შამათს“.

20.ლ:b5 მd4! 21.ლd3 მc2+ 22.მფb1 მb4.

თეთრები დანებდნენ.

დასასრული შემდეგ ნომერში

# მერვე კომპლექსი

## ყოველდღე, ხალისით!

### პირველი ვარჯიში

შეიმართე ცერებზე, ხელები მაღლა ასწიე და რაც შეიძლება გაიჭიმე.



ნახევრად ჩაჯექი, ხელები დაუშვი და უკან გასწიე.

### მეორე ვარჯიში

ფეხები ოდნავ გაშალე. უკან გადაიხარე. მუხლები მოხარე, მარჯვნივ შებრუნდი და მარჯვენა ხელი მარცხენა ტერფს შეახე. ახლა ასეთივე მოძრაობა მეორე მხარესაც გააკეთე (თუ გინდა მოძრაობა გაართულო, ფეხები უფრო მეტად გაშალე).

### მესამე ვარჯიში

სკამის წინ დადექი (საზურგე მარცხნივ არის), მარცხენა ფეხი სკამზე



შედგი და მარჯვენაც მიადგი. შემდეგ მარცხენა ფეხი ძირს (წინ) ჩადგი და მარჯვენაც მიაყოლე. ახლა მარცხენა ფეხი უკანმდგარ სკამზე შედგი, მერე მარჯვენაც მიადგი. გამეორების დროს ეს ვარჯიში ისე გააკეთე, რომ საწყისი ფეხი მარჯვენა იყოს.



### მეოთხე ვარჯიში

მარცხენა ხელი საზურგეს ჩასჭიდე, მარჯვენა საყრდენად გამოიყენე. შეხტი და სკამზე ფეხის წვერებზე დადექი. შემდეგ ჩაჯექი, ხელებს დაეყრდენი და ცქაფი მოძრაობით წამოხტი — მუხლებზე დადექი (სცადე, იქნებ სკამზე პირველი ახტომისთანავე ცერებზე კი არა, მუხლებზე დადგე).

### მეხუთე ვარჯიში

სკამზე ისე შემოჯექი, თითქოს უნაგირზე იჯდე. ხელები საზურგეს ჩასჭიდე. გამართული ფეხი სკამის საზურგეზე გადაატარე (ხელები რიგრიგობით აიღე). მერე ფეხი უკან დააბრუნე. ახლა ეს მოძრაობა მეორე ფეხითაც გააკეთე. როცა კარგად გაიწაფები, ორივე ფეხის ერთდროულად გადატარებასაც შეძლებ.



### მეექვსე ვარჯიში

დაწექი, ხელებს დაეყრდენი, ბურთი ხელებს შორის გააჩერე. მარჯვენა ხელი ბურთს დაადე, მერე მარცხენა ასწიე და მთლიანად ბურთს დაეყრდენი. ბურთიდან მკლავებით აძვლა გააკეთე (ფრთხილად იყავი, ბურთი არ გაგიგორდეს!).



### მეშვიდე ვარჯიში

ბურთი ფეხებშუა მოიქციე. შეხტი და რაც შეიძლება მაღლა შეაგდე. ატყორცნილი ბურთი ხელით დაიჭირე.



პასუხი № 4-ში დასმულ შეკითხვაზე

# საჭადრაკო და ალპინისტური კლუბი

ჟურნალ „პიონერის" აპრილის ნომერში მოთავსებულ სურათზე აღბეჭდილია თბილისის საჭადრაკო და ალპინისტური კლუბი. იგი მდებარეობს კიროვის სახელობის პარკში, ლენინის ქუჩასა და მტკვრის მარჯვენა სანაპიროს შორის.

ჭადრაკის თამაში საქართველოში ოდითგანვე არის ცნობილი, იგი მოიხსენება XII საუკუნის წერილობით წყაროებში. ჭადრაკს ჩვენში მზითვად ატანდნენ ქართველ ქალებს და ალბათ ამიტომაც არის, რომ საქართველომ ესოდენ დიდი წვლილი შეიტანა ქალთა ჭადრაკის განვითარებაში.

მსოფლიოში არ მოიძებნება სხვა ქვეყანა, რომელსაც იმდენი ნიჭიერი და პერსპექტიული მოჭადრაკე ქალი ჰყავდეს, რამდენიც საქართველოს.

XIX საუკუნეში მოზრდილი მასშტაბის საჭადრაკო ტურნირებში წარმატებით მონაწილეობდა ანდრია დადიანი, ხოლო XX საუკუნეში ჭადრაკის ასპარეზზე გამოჩნდნენ ვიქტორ გოგლიძე, არჩილ ებრალიძე, ბუხუტი გურგენიძე და სხვები.

პირველი ქართველი მსოფლიო ჩემპიონის, ნონა გაფრინდაშვილის ნიჭის აღმომჩენია ვახტანგ ქარსელაძე — მწვრთნელი, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება და შემოქმედება საქართველოში ნიჭიერი მოჭადრაკეების პოვნასა და აღზრდას მოახმარა. მის სახელთანვეა დაკავშირებული ნანა ალექსანდრიას წარმატებები.

ასეთ დიდ საჭადრაკო რესპუბლიკას, ცხადია, შესაფერისი სპორტული ბაზაც უნდა ჰქონოდა.

საჭადრაკო კლუბის ძველი შენობა, რომელიც მდებარეობდა რუსთაველის პროსპექტზე, გრიბოედოვის ქუჩის დასაწყისში, ვერ აკმაყოფილებდა გაზრდილ მოთხოვნილებებს.

ამიტომ დაისვა საკითხი ჭადრაკის სასახლის დაპროექტებისა და აგების შესახებ. ამ საშვილიშვილო საქმის ორგანიზატორები იყვნენ საქ. სსრ ფიზკულტურის კომიტეტი და ჭადრაკის ფედერაცია, კერძოდ, მისი თავმჯდომარე არჩილ ჭირაქაძე. მალე შედგა პროექტი. მისი ავტორები იყვნენ ვ. ალექსი-მესხიშვილი და გ. ღუდუშაური, კონსტრუქტორი — გ. მებუკე. მშენებლობა დაიწყო 1967 წელს და დამთავრდა 1972 წელს. შენობის ინტერიერები გააფორმა ქოჩაკიძე-სლოვინსკი-ჩიკვაიძის სამეულმა.

საჭადრაკო და ალპინისტური კლუბი კვადრატული ფორმის სამსართულიანი შენობაა, რომლის ცოკოლის სართული მთლიანად დათმობილი აქვს ალპინისტებს, ხოლო I და II სართული — მოჭადრაკეებს.

ცოკოლის სართულში მოთავსებულია ასადგილიანი მცირე სალექციო დარბაზი, მუზეუმი, მეთოდკაბინეტები, ფოტოლაბორატორია, სპორტული ინვენტარის ოთახი და სხვა სათავსოები.

ჭადრაკის სასახლის ძირითადი ბირთვია 520-ადგილიანი სადემონსტრაციო დარბაზი. იგი ამფითეატრის ტიპისაა, სავარძლები რადიალურად არის განლაგებული. სცენა, რომელიც უშუალოდ დარბაზის სივრცეში მდებარეობს, გათვალისწინებულია ერთდროული თამაშისათვის 12 მაგიდაზე. მოჭადრაკეების განკარგულებაშია აგრეთვე მცირე სათამაშო დარბაზი, ბიბლიოთეკა, ოსტატთა ოთახები, ბუფეტი, ექიმის ოთახი.

შენობას ოთხივე მხარეს აკრავს ღია აივნები, რომლებიც ოთახებსა და დარბაზებს მცხუნვარე მზისაგან იცავენ. ღია ცის ქვეშ ერთდროული თამაშების ჩასატარებლად გათვალისწინებულია ტერასა-სახურავის სართული, საიდანაც მოჩანს ქალაქის შესანიშნავი პანორამა.

1974 წელს საჭადრაკო და ალპინისტური კლუბის პროექტის ავტორებს საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაუ-

## იცნობ თუ არა შენს მშობლიურ მხარეს?



ბავშვებო, დახედეთ აქ დაბეჭდილ ფოტოს და მოგვწერეთ, რა ნაგებობაა გამოსახული, როდის აიგო, ვინ არიან მისი არქიტექტორები — და, საერთოდ, რა იცით იმ ძველ ნაგებობაზე, მის ადგილას რომ იდგა.

## უცხოური იუმორი

●

პიერმა, როგორც იქნა, ჩააბარა გამოცდა. სახლში დაბრუნებისას მას ჰკითხეს, თუ როგორი გამომცდელი შეხვდა.

—ო-ო! ის ძალზე მორწმუნე აღმოჩნდა. ყოველი ჩემი პასუხის შემდეგ სულ „ღმერთო ჩემო"!, „ღმერთო ჩემო"-ს გაიძახოდა. — უპასუხა პიერმა

●

1727 წელს ვოლტერი ინგლისში იმყოფებოდა. იმ დროს ინგლისელები მტრობდნენ ფრანგებს. ერთხელ, როდესაც ვოლტერი სეირნობდა, მასში ფრანგი შეიცნეს გამვლელებმა და დაედევნენ:

— მოჰკალით იგი! სიკვდილი ფრანგს!

მწერალი შეჩერდა და წყნარად მიუგო:

— ინგლისელებო, თქვენ გსურთ მე მომკლათ ჩემი ფრანგობის გამო, მაგრამ, თავად განსაჯეთ, მე ხომ ისედაც საკმაოდ ვარ დასჯილი იმით, რომ ინგლისელად არ დავიბადე?

ინგლისელებს ისე მოეწონათ მისი პასუხი, რომ ტაში შემოჰკრეს.

●

ანდრე მორუა ედინბურგში ა. კრონინს ეწვია სტუმრად. ერთ დღეს ანდრე მორუამ უთხრა მას:

— თქვენი თანამემამულენი ძალზე სტუმართმოყვარენი არიან.

—ეს იმიტომ, რომ მათ კარგად



ეროვნული ბიბლიოთეკა

რეატებია საპატიო წოდება მიენიჭათ.

საექსპლოატაციოდ გადაცემისთანავე სასახლე რესპუბლიკის მღელვარე საჭადრაკო ცხოვრების ცენტრი გახდა. გარდა ამისა, აქ ხშირად ტარდება საკავშირო მასშტაბის შეჯიბრებები და სხვადასხვა ღონისძიებანი. გავიხსენოთ თუნდაც რამდენიმე: ფინალური მატჩი მსოფლიო პირველობაზე ნონა გაფრინდაშვილსა და ნანა ალექსანდრიას შორის, ქალთა შორის მსოფლიო პირველობის ზონალური ტურნირი, ქალთა საკავშირო ჩემპიონატი (ორჯერ), მოჭადრაკე ვაჟთა I ლიგის საკავშირო ჩემპიონატი, პრეტენდენტთა მატჩი ნანა ალექსანდრიასა და მაია ჩიბურდანიძეს შორის, ევროპის გუნდური და მსოფლიო ჩემპიონატები შაშში, ტრადიციული მატჩები, მემორიალები, სხვადასხვა რანგის ტურნირები, სიმპოზიუმები და ა. შ. (მალე, დეკემბერში, აქ ჩატარდება უმაღლესი ლიგის მოჭადრაკეთა საკავშირო ჩემპიონატი). აღსანიშნავია, რომ ყველა ეს შეჯიბრება მაღალორგანიზებულად ჩატარდა და მათი მონაწილეები ერთხმად გამოთქვამდნენ აღფრთოვანებას როგორც სასახლის არქიტექტურის, ისე მისი მხატვრული გაფორმების გამო.

ერთი სიტყვით, როგორც თავისი დანიშნულების, ასევე მოხდენილი შესახედაობის გამო ჭადრაკის სასახლე უკვე იქცა დედაქალაქის ორგანულ, განუყოფელ ნაწილად. უეჭველია, იგი ჩვენი სპორტისმოყვარული (და არა მარტო სპორტისმოყვარული) საზოგადოებრიობის კიდევ ბევრი სიხარულის კერა იქნება.

გერმანე ღუდუშაური,
არქიტექტორი, საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი.

---

იციან ანდაზა: „ღიმილი ელექტრონზე ნაკლები ღირს და ყველაფერს შუქს ფენს“-ო, უპასუხა კრონინმა.

ფრანგულიდან თარგმნა
გიორგი ლოლაძემ

### ვეგეტარიანელი

— ბუნებით ვეგეტარიანელი ვარ. ბარბაროსობად მიმაჩნია უდანაშაულო ცხოველების დახოცვა და ჭამა.

— იმაზე რატომღა არ ფიქრობ, საბრალო ცხოველებს საკვებს რომ უსანსლავ?

### დიალოგი

ბავშვობისდროინდელი მეგობრები შეხვდნენ ერთმანეთს და სკოლის ამბები გაიხსენეს.

— იცი, ლეო ლიტერატურის კრიტიკოსი გამხდარა.

— სულაც არ მიკვირს, იმას სკოლაშივე არ უყვარდა ლიტერატურა.

### სენტენცია

სახელგანთქმულმა გერმანელმა მწერალმა და პოეტმა იოჰან ვოლფგანგ გოეთემ ერთხელ თქვა:

„ადამიანმა ყოველდღე სულ ცოტა ერთი მოკლე სიმღერა მაინც უნდა მოისმინოს, ერთი კარგი ლექსი წაიკითხოს, ლამაზი ნახატი ნახოს და, თუ შესაძლებელია, რამდენიმე გონივრული სიტყვა თქვას“.

გერმანულიდან თარგმნა
შ. ამირანაშვილმა

## უცხოური იუმორი




ჩაიდნის ტუჩიდან გადმოღვრილი ჩაის წვეთები მაგიდაზე იღვრება ხოლმე და ლაქებს ტოვებს, ჩამოაცვი ჩაიდნის სატუჩეს პოროლონის რგოლები და წვეთები სატუჩეს აღარ ჩაჰყვება (სხვათა შორის, ასეთივე რგოლი შეიძლება ჩამოეცვას ბოთლს, როცა ჭურჭლის პირიდან ზეთი წვეთავს ხოლმე).

ვისაც ხშირად უწევს ფანქრის ხმარება, კარგი იქნება სქელი ქაღალდისაგან ასეთი პატარა კონტეინერი გააკეთოს. თუ შიგ პოლიეთილენის ნაჭერს ჩააფენ, ფანქარს წვერიც არ დაუზიანდება, და, რაც მთავარია, კონტეინერში ნომრების მიხედვით ჩალაგებული ფანქრები მუდამ ხელმისაწვდომზე გექნება.

ელექტროსამართებელი რომ მოძველდება, მისი ხერხუნა შეიძლება ფრეზად გამოიყენო (რადგან იგი ლეგირებული ფოლადისაგან არის დამზადებული).

ამ ციცქნა სასწორის გასამართავად შეგიძლია გამოიყენო სპილენძის მავთული და ქაღალდის პინები. საწონებად სპილენძის მონეტები იხმარე (კაპიკიანი ერთი გრამია, 2 კაპიკიანი — 2 გრამი და ა. შ.).

სამზარეულოში კარადის კარზე შეგიძლია ასეთი საუთოებელი მოწყობილობა გააკეთო. როცა საქმეს მოათავებ, საუთოებელს აკეცავ და ხელს არაფერში არ შეგიშლის.

კედელში შურუპის (სჭვალის) ჩასამაგრებლად პლასტმასის სოლები თუ არა გაქვს, შეგიძლია შურუპს კედელში ჩახრახნისას მავთული ჩაუტნიო (სასურველია მავთული ორწვერი იყოს).




# საქმიანი

## სარჩევი


ლენინი ვ. ი. — რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის სრულიად რუსეთის III ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვიდან . . . 1
ორჯონიკიძე ი. — მთავარი მოწოდება (წერილი) . . . 2
კილასონია ნ. — ამხანაგო კომკავშირო! (ლექსი) . . . 3
მგელაძე ნ. — მე და კომკავშირი (ნარკვევი) . . . 5
ფადეევი ალ. — ახალგაზრდა გვარდია (ნაწყვეტი) . . . 8
აფხაზავა ნ. — საკუთარი მარჯვენით (ნარკვევი) . . . 13
ფაილოძე ნ. — ყველაზე კარგი საიუბილეო საჩუქარი (წერილი) . . . 16
ზნეობის ანბანი — კეთილშობილება . . . 17
ასლამაზიშვილი ვლ. — ხევში ნიაღვარი მოდიოდა (მოთხრობა, გაგრძელება) . . . 18
„აისი". . . . 24
ახალი წიგნები . . . 26
ჯადოსნური სარკე . . . 26
მხედრიონი . . . 27
მებრელიშვილი ავთ. — შემოდგომა (ლექსები...) . . . 27
ლეჟავა გ. — გავეშუროთ ზვრებში (ლექსი) . . . 27
მცირე პიონერული ენციკლოპედია . . . 28
ყურადღება, სტარტზე! . . . 29
ლუდუშაური გ. — საჭადრაკო და ალპინისტური კლუბი (წერილი) . . . 30
უცხოური იუმორი . . . 30
გამოგადგები . . . 32
ცხრაკლიტული . . . გარეკანის მე-3 გვ.



ვარეკანის მხატვრობა დიმიტრი ზარაფიშვილისა.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.

სარედაქციო კოლეგია: დოდო ვადაჭკორია, ზურაბ ლეჟკაშელი (პ/მგ. მდივანი), ზურაბ ლომიძე, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), გიორგი ქლიბაძე, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი, ლევან ჩიქვანაია, ზურაბ ჭუმბურიძე

ჩვენი მისამართი:
თბილისი, ლენინის ქ. № 14.
ტელეფონები:
რედაქტორის—93-97-05
93-31-61
პ/მგ. მდივნის
93-97-03 93-53-05
განყოფილებების—93-97-02
93-97-01

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი. ლენინის ქ. № 14
«ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси. ул. Ленина № 14.
გადაეცა ასაწყობად 23/VIII-78 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 16/X-78 წ. ქაღალდის ფორმატი 60X90¹/₈. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,35.
შეკვ. № 2362. ტირ. 147.000. უე 08901.

ფასი 20 კაპიკი


© „პიონერი", 1978 წ.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.





შვეულად:

1. ნახევარკუნძული ევროპაში; 3. სასვენი ნიშანი; 4. ღვინის ობი; 7. ლ. ქიაჩელის „გვადი ბიგვას“ მოქმედი პირი; 8. საბჭოთა მოჭადრაკე; 10. კლიმატური სარტყელი; 13. სახელმწიფო ევროპაში; 15. მდინარე საქართველოში; 17. ფილოსოფიური მოძღვრება მორალის შესახებ; 18. რუსეთთან შეერთებამდე ამიერკავკასიის სახანოებში (აზერბაიჯანში) უბნის უფროსი; 20. თვე; 25. სახელმწიფოს ძირითადი კანონი; 35. შესაფუთავი ჭურჭლის წონა; 29. ქალის სახელი; 30. კათოლიკური ეკლესიის მეთაური; 36. შემოკლებული სახელი თასისა, რომლის გათამაშებაშიც მონაწილეობს თბილისის „დინამო“ 1978 წელს.

თარაზულად: 2. მუხის ნაყოფი; 5. საბავშვო ჟურნალი; 6. შეგნებული, განათლებული ადამიანი, ანუ?.. 9. ხილი; 11. გაკოტრება, ანუ? 12. მდ. ელბას მეორე სახელწოდება; 14. ვაზის დაავადება; 16. სამკუთხედში კუთხის წვეროდან გამოსული, გვერდის შუაზე გამყოფი სხივი; 19. დროშა ანუ? 21. რძის ნაწარმი; 22. მარადმწვანე დეკორატიული ხებუჩქი; 23. წყალქვეშა კლდე; 24. მცირე არია: 26. ქართველი მსახიობი; 27. კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარის“ მოქმედი პირი; 28. გამოცდების პერიოდი; 31. დენის ძალის საზომი ერთეული; 32. ჭურჭლის ნაირსახეობა; 33. ქვეყნის ნაწილი; 34. გადასახადი ომის დროს, რომელსაც მტერი ახდევინებს დაპყრობილ სახელმწიფოს; 37. ბრწყინვალე გამარჯვებით გამოწვეული ზეიმი; 38. ძველებური ფრანგული სიგრძის საზომი ერთეული.

თამილა ერიაშვილი,
სიღნაღის რ-ნის სოფ. ვაქირის საშუალო სკოლა, VI კლასი.

## მსოფლიოს ბავშვთა თამაშები

### კიპროსი
#### „კუთხედები“

ამ თამაშში მონაწილეობის მიღება შეუძლია 4-დან 20-მდე ბავშვს, ცარცით იხაზება იმაზე ერთით ნაკლები ოთხკუთხედი, რამდენი ბავშვიც თამაშობს და ბავშვები ამ კუთხედებთან დგებიან. თამაში იწყება — ბავშვები ერთი კუთხედიდან მეორისაკენ გადარბიან, მერე, „დედის“ ნიშანზე ყველამ უნდა დაიკავოს ერთ-ერთი კუთხედი. ვინც უადგილოდ დარჩება, რაიმე უნდა შეასრულოს (იმღეროს, იცეკვოს), და თამაში თავიდან იწყება.

### უნგრეთი
#### „ყურადღების თამაში“

ბავშვები წრეს კრავენ. შუაში „დედა“ დგება და განკარგულებებს იძლევა. მოთამაშეებმა მარტო იმ შემთხვევაში უნდა შეასრულონ განკარგულება, თუ „დედა“ ამ განკარგულებას სიტყვა „პიონერებს“ წაუმძღვარებს. თუ არა და განკარგულება არ უნდა შესრულდეს. მაგალითად, უნდა შესრულდეს ასეთი განკარგულება: „პიონერებო, დასხედით!“ და არ უნდა შესრულდეს ასეთი: „ხელები ჩაჰკიდეთ ერთმანეთს!“

## გამოცანები

1

ტანი უშველებელი,
ხახა უფრო საზარი,
მიწას ლუკმას აგლეჯს
კოვზი უზარმაზარი,
უკლებლივ და საჩქაროდ
მერმე სხვაგან აგზავნის.

2

თვითონ არის რბილი,
მაგარი აქვს ქურქი,
სახლი არა სჭირდება,
სახლი დააქვს ზურგით.

გ. შეთეკაური

## რებუსი

„ბუნება ფასდაუდებელია“ (№ 9-ში გამოქვეყნებულ რებუსში დაშვებულია შეცდომა: ბალისა და ენძელას ნახატებს აკლია თითო მძიმე).

## პასუხი №8-ში დაბეჭდილ „ცხრაკლიტულზე“

### კროსვორდი

**საათის ისრის მოძრაობის მიმართულებით:**

1. დინარი; 2. ვაპორი; 3. კათეტი; 4. კორიდა; 5. კულონი; 6. ბემოლი; 7. კასილი; 8. კასეტი; 9. ბეკასი; 10. დილეგი; 11. პლაზმა; 12. შილერი.

**საათის ისრის მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით:**

1. დილემა; 2. ვენერა; 3. კუპერი; 4. კითარა; 5. კარატე; 6. ბალადა; 7. კიმონო; 8. კასელი; 9. ბუსოლი; 10. დუკატი; 11. პოლუსი; 12. შტანგა.

### გამოცანა

თაგვი
შარადა
კაჭკაჭი

ИНДЕКС 76157



